საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდევური სიფაქვაა, ფაქელებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 18 ოქტომბერი. 2021 წ. №189 (9308) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

სააკაშვილი და ნაცები, როგორც ბოროტება, ჩვენმა საზოგადოებამ უნდა მოიკვეთოს!

მეუფე ზინო:

დღეს საუბრობენ საყოველთაო შერიგებაზე. სხვათა შორის, ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას, ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო, ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე. ასეთი რამ სახარებაში არ გვიწერია და, გარდა იმისა, რომ ბოროტება სამართლიანი სასჯელითაც უნდა აღიკვეთოს, ასევე ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევებშიც, უნდა მოვიკვეთოთ ასეთი ადამიანი... პირად მტერზეა საუბარი, მოვიკვეთოთ ჩვენი ცხოვრებიდან ან საზოგადოებიდან...

ანზორ თოთაძე:

ნაცები ავადმყოფები არიან!

4

თამარ ჭიჭნაძე:

მაოხრებელი გზირი თავს არ გვანებებს!

6

უცხო თავისიანებს შორის და თავისიანი უცხოთა შორის

3

ოთარ მარგველაშვილი:

ჰერიო, გრიშა, ჰერიო, არ გავასაროთ მტერიო!..

5

გრიშას ვნებანი ანზორისა და ნინოს გამო

დაკოდილი ბუღების პოლიტიკური ქარბორბალა ტვინდემიის ჟამს

უბირი თუ ფულზე გაყიდული ხალხისგან არცრა გასაკვირი არ არის. გასაკვირია, როცა, ასე თუ ისე, ინტელექტუალი, ყოველ შემთხვევაში, ვინც თავის თავს ასეთად მიიჩნევს, ბნელსა და ნათელს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ეს აზრი ამ ბოლო დროს გამიჩინეს მამამ და შვილმა ბუღაძეებმა, ერთმა არცთუ ყალამგამორჩეულმა მხატვარმა და მეორემ არცთუ კალამსხარტმა მწერალმა, რომელთაც ნაციონალთა პოლიტიკა რელიგიად გაიხადეს და იმის მაგივრად, რომ ერთს ყალამი ეჭიროს, მეორეს კი კალამი და სწორ, შემრიგებლურ აზრს აწვდიდნენ საზოგადოებას და, ეგრეთ წოდებულ ბოროტად გაავებულ პარტიებს, პირიქით, ქვეყნის ამრევი, ძალაუფლებისთვის გაგიჟებული ნაციონალები თავიანთ ეშმაკეულ ბელადიანად კერპად იქციეს.

ერთსაც და მეორესაც, ქვეყნის სიყვარულის ნაცვლად, როგორც იტყვიან, მზეც და მთვარეც რატომღაც ადამიანთმოძულე სააკაშვილმა ამოსდით. განა 14 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე მამა ბუღაძის ჩაბჟირებული გამოსვლა მიუკერძოებელი ხელოვნის გამოსვლა იყო?! არა, რასაკვირველია, მიკროფონთან იდგა არა მართლა ხელოვანი, არამედ აშკარად ტვინგადაბრუნებული, ულვაშშერცხვენილი, ძალად გაპოლიტიკურებული ზოილი, ძველი ბერძენი უსამართლო პირღნიოში კრიტიკოსი, რომელიც დამცირების მიზნით განგებ უსირცხვილოდ ამახინჯებდა ივანიშვილის გვარს, უსაგნოდ ლანძღავდა „ოცნებას“ და არც იმის თქმა დავიწყებია, რომ თავისი მოკლე ჭკუით დამნაშავე და ტერორისტმა სააკაშვილმზე თურმე პოლიტიკური ქარბორბალა დაატრიალა, რომელმაც „ოცნება“ უნდა აღგავოს თავისი ივანაშვილიანად (SIC!), არადა, თავად ბუღაძისა არ იყოს, ქარბორბალას რა ჭკუა მოეთხოვება, ვაითუ იმ ქარბორბალამ ჯერ თვითონ ნაციონალები აღგავოს სააკაშვილიანად! განა ცოტაა შემთხვევა, როცა სხვის დასაბუგად ცეცხლის გამჩაღებელი პირველი თავად იბუგება იმ ცეცხლში.

გია ბუღაძის ფურთხება დიპლომის ნაცვლად...

ასეა თუ ისე, ყველას გვახსოვს, ეს ის ბუღაძეა, რომელიც, ერთ დროს ბედის ირონიით სამხატვრო აკადემიის რექტორი, ხატვის მაგივრად შორს გადაფურთხებას და ერთმანეთისთვის მიხრანტალებას ასწავლიდა სტუდენტებს, რომელთაგან ბევრი, საღად მოაზროვნე, დღეს ფურთხის ღირსად მიიჩნევს და აფურთხებს კიდეც როგორც პოლიტიკურად ამაოდ ახურებულ ბუღაძეს, ისე მის თაფლიჭამია პოლიტიკურად გაბითურებულ ვითომ მოშიმშილე სააკაშვილს.

და, როცა 14 ოქტომბრის დღეზე და ტვინგაწყვდიადებულ მამაშვილ ბუღაძეებზე ვფიქრობ, კოვიდ-19 ეპიდემიაზე უფრო მეტად ამჟამად საქართველოში მძვინვარე **ტვინდემია** მაშფოთებს.

გივი ხოტივარი,
ჟურნალისტი, თბილისი

დღის ამფრაზურიდან

ეკლესიაში ბაბოლინი

ერთი მეზობელი ეკითხება მეორეს:

– რა იყო, რა მოხდა 14 ოქტომბრის თავისუფლების მოედანზე?

– რა იყო და, სიჯანსაღეზეცოო შილი ბაბილი, მოეული სანი სასთი ყარდა თოკრეე ოქოკრობა!..

ირაკლი ღარიბაშვილი:

ვეტერანებს 22 ლარის ნაცვლად ხუთჯერ მეტი დანამატი ექნებათ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ვეტერანებისთვის ყოველთვიური 22-ლარიანი დანამატი გადაიხედება და 2022 წლის იანვრიდან ხუთჯერ გაიზრდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ვეტერანის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა. ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანებს ვეტერანთა დღე მიულოცა. პრემიერ-მინისტრმა მათ სამშობლოსთვის გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

„ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს. ვულოცავ გულითადად ვეტერანთა დღეს სხვადასხვა თაობის ვეტერანებს, ვინც მეორე მსოფლიო ომსა თუ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსა და მსოფლიოს ცხელ წერტილებში თავდადებით იბრძოდით სამშობლოს თავისუფლებისა თუ გლობალური უსაფრთხოებისთვის.

დღეს თქვენთან, მთელ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად პატივს მივაგებთ თქვენს თანამებრძოლ და იმ გმირთა ხსოვნას, ვინც ოჯახებს ვერ დაუბრუნდა და ვინც ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე გაიღო სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის. საზოგადოების განვითარების საზომი არის ის, თუ როგორ ვაფასებთ და ვზრუნავთ სამშობლოს დამცველებზე. ჩვენი მთავრობა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს ვეტერანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კობა კობალაძემ ჩამოთვალა ჩვენ მიერ გადადგმული ყველა ის ნაბიჯი, რომელიც განვახორციელეთ ჩვენი მთავრობის პირობებში. ყველა ის პროგრამა, რომელიც განხორციელდა და რომელიც განხორციელდება, იქნება ეს 1000-ლარიანი დანამატები, თუ სხვა მნიშვნელოვანი პროგრამები, რომელიც განხორციელდა ბოლო პერიოდში. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ვეტერანებზე, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ასევე მინდა, ვთქვა ის საკითხი, რომელიც ყველას გვაწუხებს, ყოველთვიური 22-ლარიანი დანამატი, ჩვენი გადაწყვეტილებით, იქნება გადახედილი და იანვრიდან ხუთჯერ გაიზრდება!

თქვენი დაფასება არის არა მარტო თქვენი ღვაწლის და დამსახურების აღიარება, არამედ ეს არის ზრუნვა ჩვენ მომავალზე, ჩვენ ახალგაზრდა თაობებში სწორი ღირებულებების, სამშობლოსა და თავისუფლების უზენაესობის იდეალთა დამკვიდრებაზე. ასე რომ, მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი სამსახურისთვის, ჯანმრთელობას, მშვიდობასა და კეთილდღეობას გისურვებთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სალომე ზურაბიშვილი: ვეტერანების დაფასებით იზომება ჯარის დაფასება!

„ვეტერანები და ჩვენი ქვეყნის ისტორია და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ერთმანეთისგან განუყოფელია“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, ქვეყნის მთავარსარდალმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. მისი თქმით, აუცილებელია, სახელმწიფო და საზოგადოება ვეტარანებს სათანადოდ აფასებდეს.

„ვეტერანების ღვაწლი ყოველ ეტაპზე გადამწყვეტი იყო. რეალურად, დღემდე, სხვადასხვა პერიოდის ვეტერანებმა მოგვიყვანეს და ამისთვის ჩვენ უაღრესად მადლიერნი ვართ. ძვირფასო ვეტერანებო, თქვენ ხართ რეალურად ჩვენი საზოგადოებისთვის მაგალითი და საყრდენი, თქვენ გაიგივებულნი ხართ არა მხოლოდ ისტორიასთან და წარსულთან, არამედ — მომავალთან. არ არსებობს საზოგადოება, რომელიც ვეტერანებს არ სცემს პატივს და ჰყავს ძლიერი ჯარი. ვეტერანების დაფასებით იზომება ჯარის დაფასება. ჯარის შემართებაც ვეტერანების დაფასებაზე დგას და არა მხოლოდ ეს; რეალურად, დღეს ჩვენი რეზერვი ხართ თქვენ. თქვენი გამოცდილება, წარსული და დღევანდელი პროფესიონალიზმი არის ის, რაც ამ ქვეყანას, მის თანამედროვე ჯარსა და საზოგადოებას სჭირდება“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტმა შვეიცარიაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრები დაჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მხარდაჭერისათვის ღირსების მედლით დაჯილდოვა შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრები: მარიანა კრაიერი, ბარბარა შელევალდი და სირილ ჰერინგი.

მარიანა კრაიერი, 30 წელზე მეტია საზოგადოებრივი გაერთიანება „საქართველოს“ წევრია შვეიცარიაში. თანადამაარსებელია თბილისის მე-6 ავტორიზებული სკოლის და გამომცემლობა „ამირანის“ და კიტა და აკაკი ჩხენკელების არქივის თანამფლობელი, დახმარებას უწევს ქართველ ხელოვანებს და ეწევა ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას, ატარებს ქართული კულტურის ფესტივალებს. სირილ ჰერინგი, იურისპრუდენციის დოქტორია, რომელმაც ბაზელში დააარსა მხატვრების გაცვლითი პროგრამა, რითიც დღემდე არაერთმა ქართელმა ისარგებლა. ის საქართველოში რეგულარულად ატარებს სხვადასხვაა უნივერსიტეტებში ლექციებსა და სემინარებს

ბარბარა შელევალდი ბაზელის უნივერსიტეტის ემერიტუსი და შუა საუკუნეების ხელოვნების სპეციალისტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაზელის უნივერსიტეტის სახელოვნებათმცოდნეო ფაკულტეტიდან სამეცნიერო ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში და გამოსცა უმნიშვნელოვანესი კვლევა სახელოვნებათმცოდნეო პერიოდიკაში. დაჯილდოების ცერემონია ქალაქ ბერნში გაიმართა.

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრებს თავად გადასცა და საქართველო-შვეიცარიის ისტორიული ურთიერთობების შესახებ ისაუბრა, რომელშიც გარკვეულ ეტაპებზე ქალთა ჩართულობა და მათი როლი განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა. პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა შვეიცარიის კონფედერაციაზე, როგორც საქართველო-რუსეთს შორის მედიატორის განსაკუთრებულ როლზე. დაჯილდოებულებს ღირსების მედლების მიღება ქართული ხალხური სიმღერითა და მუსიკალური ნაწარმოებებით მიულოცეს ანსამბლმა „რუსთავმა“ და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილიშვილმა დემეტრე გამსახურდიამ.

◎ სადა ბანაობთ?!

სულ ესა ხართ, თქვე საწყლებო?

ღვთის მადლით, მცხეთობა-სვეტიცხოვლობის საერო-საბერო დღესასწაულზე კიდევ ერთი სანიშანსვეტო მოვლენა გადავაგორეთ ღირსეულად, თუ არ ჩავთვლით თბილისის საკრებულოში აღმოჩენილი ხმის დამხშობი და მოსასმენი აპარატურის „აღმოჩენის“ გამო ატეხილ კრიახს.

საუბარია რადიკალური ოპოზიციის მიერ ღამის მთელი შემოდგომის განმავლობაში გაპიარებულ-რეკლამირებულ მრავალათასიან საპროტესტო აქციაზე, რომელიც საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების კვალდაკვალ თბილისის გულში — თავისუფლების მოედანზე „ოცნების“ ვერსიით — 13 ათასი, ხოლო „ფრანს პრესისა“ და ასოშეიტედ პრესის ინფორმაციით — დაახლოებით 50-60 ათასი მომიტინგის მონაწილეობით რამდენიმე საათს გრძელდებოდა და რუსთავის №12 პენიტენციური დაწესებულების №320 „პრახადნოი დვორად“ ქცეული ევროსაკნიდან ქვეყნის მესამე პრეზიდენტის გამოხსნის მოთხოვნას მიეძღვნა.

მართალია, შეკრებილთა მუხტის ასაწევად მიკროფონით ძირითადად ნაციონალური ბნელიტის წარმომადგენლები წიოკობდნენ, მაგრამ კანტიკუნტად აქაიქ მასებში გარეული წვრილფეხობის ცნობად სახეებსაც დაღანდავდით, რომელთა ატამანებმაც, აქაოდა, ოპონენტებმა ყველაზე ოდიოზური პარტიის ღია მხარდაჭერისთვის ჯვარს არ გვაცვანო, ვირეშმაკური პოლიტიკური გამოსავალი მოძებნეს — ჩვენი პარტია, როგორც დემოკრატიის ერთგული სუბიექტი, გუნდური თვალსაზრისით სიხისტით გამორჩეულ მიშისტურ ძალას კი ემიჯნება, მაგრამ ცალკეულ თანამებრძოლებს პროტესტანტთა გვერდით დგომას ვერ დავუშლითო.

ვერაფერს იტყვი — ქართული საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი პოზიციის შეესაფუთავად რკინის ლოგიკაა!

რაც შეეხება რეგიონებიდან ცოცხებითა და „კასტილებით“ გამოცილებულ და კოლონებად დაძრულ თანამემამულეთა მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლებ რაოდენობას, თავყრილობის ორგანიზატორებმა, უკვე მერამდენედ, ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს, როცა ღონისძიება უფლის კვართის ბრწყინვალე რელიგიურ დღესასწაულს დაამთხვიეს და, ამჯერად, არ გაითვალისწინეს, რომ იმ დღეს ბევრს არ ედედაქალაქებოდა — ზოგი ტაძარში ზეიმობდა და ზოგიც, ტრადიციისამებრ, ჯიგრულ პონტში, ტრაპეზით გამოხატავდა თავის ქრისტიანობას.

ამ დროს, დაგვეთანხმებით, ძნელია კაცს შენი სამშობლოს მთავარ გამზირზე დანთებული პოპულისტური კოცონისკენ უკრა თავი, გინდა „თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მესაძირკვლის“ თავისუფლებაზე გამოყვანის საკითხი წყდებოდეს და, გინდა, რაც კიდევ უფრო დიდი მკრეხელობაა, „დავით აღმაშენებლის რანგის 21-ე საუკუნის რეფორმატორი მოღვაწისა“. რომ იტყვიან, ენას მართლაც არა აქვს ძვალი...

თუმცა, დადებითი ფაქტი გასულ ხუთშაბათს მაინც მოხდა. დიახ, მხედველობაში მაქვს მგზნებარე ორატორის — გიგი უგულავას ლუსტრაცია, რომლის ხმაჩახლეჩილი ხავილიც კიდევ ერთი დასტურია პრაქტიკაში მრავალგზის დამტკიცებული დასკვნისა, რომ ყოფილი ნაცი, ისევე როგორც ყოფილი „კაგებეშნიკი“, ბუნებაში არ არსებობს და, საკმარისია, ერთხელ მოიწამლო ვარდყვავილოვანი „რევოლუციის“ შხამით, რომ შემდეგ, რამდენი პარტიაც არ უნდა მოიარო, ვეღარ განიკურნები.

სწორედ დასახელებული ჭეშმარიტებაა უტყუარი გარანტი იმისა, რომ თითოოროლა უცხოელი თანამოაზრისგან წაქეზების მიუხედავად, მეცოცხეთა დასი მისი ფიურერის თამადობით განწირულია და მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი მას 30 ოქტომბერს პოლიტიკურ სანაგვეზე მიუჩენს ადგილს.

გია პლატონიშვილი

ᲣᲪᲮᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲣᲪᲮᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

რა თქმა უნდა, არასასიამოვნო და საპასუხისმგებლოა, გაზეთის საშუალებით გამოხატო საკუთარი უარყოფითი აზრი ვინმეზე, მაგრამ, ვითარებაში, როცა ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება რეალურად განსაზღვრავს ქვეყნის ბედს, ვფიქრობ, სასურველია, რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ გავუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი, შესაძლებლად დასაბუთებული მოსაზრებები მათ შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩნდება რომელიმე მათგანის კეთილსინდისიერებაზე დაფიქრების საფუძველი. წესით, საფუძვლიანი კრიტიკა პოლიტიკოსებისთვისაც სარგებლის მომტანი უნდა იყოს.

თავის დროზე მიმაჩნდა, და, ალბათ, არა მარტო მე, რომ პოლიტიკურ სარბიელზე, ბ-ნ გ. გახარიას სახით გამოჩნდა კიდევ ერთი, ქვეყნის მომავლისათვის მოღვაწე და საიმედო პოლიტიკოსი. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი.

შევეცდები ავხსნა თუ რატომ შემეცვალა აზრი, რაშიც თავად ბ-ნ გ.გახარიას გამოსვლაც გადაცემაში „თავისუფალი ხედვა“ (პირველი არხი.28.09.21) დამეხმარა. ეს, შეიძლება, საინტერესო აღმოჩნდეს მის მიერ ახლახან შექმნილი პარტიის გასაკვირად მრავალრიცხოვან ამომრჩეველთათვისაც.

1.

ბ-ნ გ. გახარიასთვის, როგორც ის დეკლარირებს, უმთავრესია სახელმწიფო ინტერესები და როგორც კი დაინახა, რომ მმართველმა პარტიამ ხელისუფლებაში დარჩენის ინტერესი დააყენა სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა, ის მაშინვე (რთული პოლიტიკური ვითარების და ქაოსის შექმნის რისკის მიუხედავად) გადადგა უმაღლესი, პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან. მისი აზრით, მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლებაში დარჩენის ინტერესის სახელმწიფო ინტერესებზე დაყენება გამოიხატა იმაში, რომ პარტიის ლიდერებმა დაიწყეს ჩარევა მთავრობის საქმიანობაში, როცა პრემიერ-მინისტრმა ძალოვან სტრუქტურებს აუკრძალა სახელმწიფოს რღვევისა და რევოლუციის ჟინით შეპყრობილი პოლიტიკური პარტიის ფორმალური ხელმძღვანელის, სასამართლო აქტის საფუძველზე დაკავება, რაც მთავრობის კომპეტენციაში შეჭრად და კონსტიტუციის უხეშ დარღვევად მიიჩნია. სერიოზული ბრალდებაა (სხვა, წვრილ-წვრილ ბრალდებებზე საუბარი შორს წაგვიყვანს). მას, როგორც თავად ამბობს, საკუთარ წარმოდგენებში ჰქონია თანაპარტიელებთან და შინაგან საქმეთა მინისტრთან გაუხმოვანებელი გეგმა, თუ როდის და როგორ უნდა დაეკავებინათ ნ. მელია ისე, რომ არ დაზიანებულიყო სახელმწიფო ინტერესები. სიმართალე გითხრათ, როცა გავიხსენე ბ-ნ გ. გახარიას შსს მინისტრობის დროს ჩატარებული გახმაურებული ოპერაციები, ჩემთვის საეჭვო გახდა მისი წარმოდგენითი გეგმის სრულყოფილება (სხვათა შორის, პოლიტიკოსს, რომელსაც პრეტენზია აქვს დაგეგმოს რთული საპოლიციო ოპერაციები და მათი ჩატარების საუკეთესო დრო, ალბათ, ლაბორატორიული ანალიზის შედეგების ობიექტურობის ისე გადაზღვევაც უნდა ეხერხებოდეს, რომ ჩრდილი არ მიაყენოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტს თუ ამ ინსტიტუტისა და სახელმწიფოს დისკრეტიზაციის წინასწარი განზრახვა არ გააჩნია). თუნდაც კარგი წარმოსახვითი გეგმის გადავადებული განხორციელებით, პოლიტიკური მძლავრი ტურბულენტობის დროს და მაშინ როცა ნ.მელია, ათასობით მხარდამჭერით გარშემორტყმული, საჯაროდ და გამომწვევად აცხადებდა- არც გირაოს გადავიხდი და ვერც დამიჭერთო, მნიშვნელოვნად არ გაიზრდებოდა ხელისუფლების დამხობისაკენ მიმართული დესტრუქციული ოპოზიციის მოქმედებების შედეგიანობა და არ გაჩნდებოდა სერიოზული და საფუძვლიანი ეჭვი, როგორც ჩვენი საზოგადოების, ისე პარტნიორი ქვეყნების ლიდერთა მნიშვნელოვან ნაწილში, სახელმწიფოს მდგრადობისა და მმართველი პარტიის ქმედითუნარიანობის მიმართ, რაც ხელისუფლების ჩამოშლის ყველაზე ეფექტური გზაა? რა შედეგი შეიძლებოდა მიეღო ქვეყანას და ვის ინტერესებში შედიოდა ნ. მელიას დაკავების კიდევ მეტად გახანგრძლივება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. გავიხსენოთ პრეზიდენტის მიერ, აშკარა კრიმინალების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენელთა თვალში ქვეყნის ავტორიტეტის ამაღლებისა და პოლიტიკური სტაბილურობისათვის შეწყალება. მიაღწია მიზანს და შეძლო პოლიტიკური დაძაბულობის შემცირება? კითხვაზე, რა უფრო მეტად შეესაბამებოდა სახელმწიფო ინტერესებს, ნ.მელიას დროული დაკავება და ხელისუფლების მდგრადობის და კანონის უზენაესობის თვალსაჩინოება, თუ უცხოეთის დროებითი კეთილგანწყობა, ჩემთვის პასუხი ერთმნიშვნელოვანია-ნ. მელიას დროული დაკავება.

განა ვცდები, ბატონებო?

რაც შეეხება ხელისუფლების შენარჩუნების სურვილს- საკვირველი იქნებოდა ასეთი სურვილი რომ არ გააჩნდეს ნებისმიერი, მითუმეტეს სახელმწიფოს განმტკიცების პროცესში მყოფი ქვეყნის მმართველ პასუხისმგებლიან პარტიას, რომლის უმთავრესი ამოცანაა ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირება. მთავარია, თუ რის ხარჯზე ახერხებს სახელისუფლო პარტია ამას, სოციალური მიმართულების პროგრამების და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, ბიზნესის ხელშეწყობით, ოპონენტთა სამართლიანი კრიტიკით, ხელოვნურად შექმნილი კრიზისების აღმოფხვრით, არჩევნების ნორმალურად ჩატარებისა და მისი შედეგების პატივისცემით, ბრალდებულთა და სასამართლოს მიერ დამნაშავედ აღიარებულ პერსონათა უპირობო იზოლირებით და ა.შ., თუ ბოროტმოქმედების სახელმწიფო მართვის ინსტრუმენტად გადაქცევით, რისი მოწმენიც ყველანი ვიყავით ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს.

ჩემი აზრით, როცა პრემიერ-მინისტრი უკრძალავს შინაგან საქმეთა მინისტრს აღასრულოს სასამართლო აქტი დაკავების შესახებ, ფართო საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მიმართ და ამას მშვიდად უყუროს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმა, ეს შინაარსობრივად იგივეა, ფინანსთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრის დავალებით უარი თქვას გადასახადების აკრეფაზე, გაყინოს შესაბამისი საბანკო ანგარიშები და მმართველი პარტია მანამ არ უნდა ჩაერიოს ასეთ არანორმალურ ვითარებაში, სანამ საბიუჯეტო დეფოლტი არ მოხდება და ქვეყანა არ აირევა.

ვფიქრობ, ჩემსავით იურიდიული განათლების არმქონე მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს გადავხედოთ საქართველოს კონსტიტუციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულებას, რათა წარმოდგენა შეგვექმნას მასზედ, თუ რამდენად კონსტიტუციური და კანონიერი იყო პრემიერ-მინისტრის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის ნ.მელიას დაკავების აკრძალვა და მის მიმართ არსებული სასამართლო აქტის აღსრულების გაურკვეველი დროით შეჩერება, ან რამდენად არაკონსტიტუციური იყო პარლამენტის უმრავლესობის ლიდერთა მხრიდან ნ.მელიას დაკავების გადავადებაზე მკვეთრად უარყოფითი რეაქცია და შესაბამისი კატეგორიული მოთხოვნა.

საქართველოს კონსტიტუციით მხოლოდ „საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას“ (მუხ.36), მთავრობა კი არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, „რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და ის ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე“ (მუხ.54). „პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს“ (მუხ.55). „სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. „სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით“ (მუხ.62). „შინაგან საქმეთა სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონიერ საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს“ (შსს-ს დებულების მე-2 მუხ.)

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბ-ნ გ. გახარია პრემიერ-მინისტრობასთან ერთად პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს და, შესაბამისად, ამ პარტიის წევრი გახლდათ, თავი რომ დავანებოთ კოლეგიალური ურთიერთობების პატივისცემას, „ქართული ოცნების“ პარტიის წესდება, პარტიის წევრს ავალდებულებს კეთილსინდისიერად შეასრულოს პარტიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილება და არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპარლამენტო უმრავლესობის, იგივე „ქართული ოცნების“ პარტიის ლიდერთა მხრიდან პრემიერ-მინისტრზე მითითება, მთავრობას და კერძოდ, შსს-ს დროულად შეესრულებინა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულება, არა მგონია ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას ან რომელიმე კანონს, ან პარტიის წესდებას. კიდევ კარგი, რომ შსს-ს მინისტრი აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე.

რა თქმა უნდა, გ.გახარიას, როგორც პრემიერ-მინისტრის მხრიდან შსს-ს მინისტრისათვის ამა თუ პირის დაკავების თაობაზე სასამართლო აქტის აღსრულების დროებით შეჩერების მოთხოვნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და შესაბამისად ის ვალდებული იყო, ეს მისი გადაწყვეტილება შეეთანხმებინა სახელითსუფლებო პარტიის ხელმძღვანელობისათვის და ასეთი შეთანხმების გარეშე შსს-ს მინისტრისზე კანონსაწინააღმდეგო დავალების გაცემა მისი მხრიდან, ჩემი აზრით, უნდა განიხილებოდეს როგორც თანამდებობრივი გადაცდომა და პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევა.

შემექმნა შთაბეჭდილება იმისა, რომ, ბ-ნ გ. გახარია თავად რომ არ გადამდგარიყო მოულოდნელად, „ქართული ოცნება“ მისი თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხს მოგვიანებით დააყენებდა (შეიძლება, ასეთი განწყობები თვალნათელი იყო კიდეც და ბ-ნ გ. გახარიამ მიიღო თავისთვის სასარგებლო, ხოლო სახელმწიფოსთვის საზიანო გადაწყვეტილება). ისევ რომ დავუბრუნდეთ კონსტიტუციას, ალბათ ის იქნებოდა არაკონსტიტუციური, მმართველი პარტიის ლიდერები რომ დათანხმებოდნენ პრემიერ-მინისტრის წინადადებას არსებული სასამართლო აქტის აღსრულების გადავადების თაობაზე და შინაგან საქმეთა მინისტრს გაურკვეველი დროით აეკრძალა თავის სტრუქტურებისთვის შესაბამისი ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება.

ᲘᲮ. 8 ᲒᲒ.

ევროპამ სააკაშვილი მკაცრად გააფრთხილა, რომ საქართველოში არ შეპარულიყო!

იმის მიუხედავად, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ 14 ოქტომბრის აქციით კმაყოფილია და ამბობენ, რომ „თავისუფლებაზე“ იმაზე მეტი ადამიანი მივიდა, ვიდრე ელოდნენ, როგორც ჩანს, მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კმაყოფილი არ არის. მან ენმ-ის თავმჯდომარეს ნიკა მელიას ახალი დავალება მისცა და მოუწოდა, რომ პერმანენტული აქციები დაიწყოს. მიუხედავად ენმ-ის აღტყინებისა, რომ ორი კვირის განმავლობაში პირველად შეძლეს ამდენი ადამიანის მობილიზება, სააკაშვილის ციხიდან დახსნა ვერ შეძლეს.

ექს-პრეზიდენტი აცხადებდა, რომ თუკი 14 ოქტომბრის აქციაზე ბევრი ადამიანი მივიდოდა, მაშინ ხელისუფლება შეშინდებოდა და მას ციხიდან გაათავისუფლებდა. თუმცა, როგორც დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, ნიკა მელია ამ პათოსს არ იზიარებს და აქციაზე მან მხარდამჭერებს 30 ოქტომბერს არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდა. მელიას არ უთქვამს, რომ ქუჩის აქციებით ენმ-ის მთავარ ბელადს დაიხსნიდა. მან სააკაშვილი მხოლოდ მამაცობისთვის და მხნეობისთვის შეაქო. როგორც ჩანს, მელია ქუჩის აქციების დიდი მომხრე არ არის და მან კონცერტ-აქციის გამართვით მოვალეობა მოიხადა. პარალელურად, მელიამ ხელისუფლება გააფრთხილა, რომ არჩევნები არ გააყალბონ, რადგანაც ბევრნი არიან და ჭკუას ასწავლიან.

როგორც იკვეთება, მელიას ორ ფორნტზე ბრძოლა უჭირს, თუმცა ცდილობს, მოსახლეობა არ შეაშინოს და ხელისუფლების ნათქვამი, რომ ენმ-ი დესტრუქციული ძაალა და მას მხოლოდ ქვეყნის არევა უნდა, ამ მასობრივი აქციებით არ გაამართლოს. გარდა ამისა, ყოველდღიური აქციების გამართვა დიდ რესურსს მოითხოვს, რომელიც მეორე ტურისთვის მზადებაში პარტიას ხელს შეუშლის. სავარაუდოდ, სააკაშვილი შეშინებულია და ფიქრობს, თუკი მისი ციხეში ყოფნა დროში კიდევ გაიწელება, გათავისუფლების საკითხი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში გადაიწევს. მეორე მხრივ, მისი ადვოკატები სალომე ზურაბიშვილის მიერ სააკაშვილის შეწყალების შესახებ განცხადების მომზადებას აპირებენ. მიუხედავად მე-5 პრეზიდენტის უარისა, როგორც ჩანს, სააკაშვილი ციხეში ველარ ძლებს და ყველა ხერხით ციხიდან გამოსვლას ცდილობს.

სააკაშვილისგან განსხვავებით სრულიად სხვა პათოსი აქვს ნიკა მელიას. მან 14 ოქტომბრის აქციაზე მხარდამჭერებს 30 ოქტომბრისთვის მობილიზებისა და არჩევნებში მისვლისკენ მოუწოდა და დაამატა: „თუკი ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს, აქცია ამის შემდეგ ისევ გაიმართება“.

სააკაშვილის ეპისტოლარული ჟანრი ერთია და მეორეა რეალობა. როგორც ჩანს, სააკაშვილი 14 ოქტომბერს მობილიზებული მხადამჭერებით მაინც და მაინც კმაყოფილი არ არის. გარდა ამისა, სააკაშვილს, შესაძლოა, თავად მელიაც კი აღიზიანებს უკვე. მელიას გეგმა გამარჯვებაა (არჩევნებში) და „არაფერი მეტი სხვა“, როცა სააკაშვილი ციხის გისოსებს აწყდება და გარეთ გამოსვლას ლამობს.

„მიხეილ სააკაშვილმა თავისი თავდადებით არაფრად ჩააგდო დევნისა და ციხის საფრთხე და ამ თავგანწირვამ რეჟიმი გაბზარა, უსამართლობა დაასუსტა... 30 ოქტომბერს ან ივანიშვილი შეეგუება, რომ მარცხდება, ან გპირდებით, ბრძოლა იქნება ბოლომდე“, — ამბობს მელია.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** მიიჩნევს, რომ, როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი უფრო აგრესიული მოქმედებების მომხრეა, ხოლო ნიკა მელია ამისგან თავს იკავებს. ამის მიზეზი კი საზოგადოებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ნეგატიური მუხტის კიდევ უფრო გაძლიერებაა. ანჯაფარიძე ამბობს, რომ სააკაშვილის მოთხოვნამ — პერმანენტული აქციები დაიწყონ და ქვეყნის ჯანჯღარი გააგრძელონ, შესაძლოა, ხალხი შეაშინოს. ეს კი პარტიას მხადამჭერებს დააკარგვინებს. ამიტომ მელია უფრო ფრთხილობს და ხვდება, რომ არჩევნების მეორე ტურის წინ ეს ტაქტიკა არ გამოადგება.

„ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს დესტაბილიზაცია აღარ სურს, სააკაშვილის სურვილი კი არის, რომ ნებისმიერი საშუალებით ციხიდან გამოვიდეს. ამიტომაც თავისი პარტიისგან ხელისუფლებაზე მასქიმალურ ზეწოლას ითხოვს. ხედავს, სამართლებრივი გზებით მისი გათავისუფლება ვერ ხერხდება და უნდა აქციებით ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინოს. არ გამოვრიცხავ, მას უფრო დესტრუქციული მეთოდი ჰქონდეს ჩაფიქრებული. ყველა კარგად ხედავს, რომ სააკაშვილი შიმშილით სპეკულირებს. მისი მომხრეების ნაწილი ამბობს, რომ ის კვდება და შიმშილისგან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ხოლო ნიკა გვარამია შედის და ამბობს, რომ ექს-პრეზიდენტი მხნედ არის და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. შედიან იქ მღვდელმთავრები და ერთგვარი პილიგრიმობა აქვთ გამართული. სააკაშვილთან შესვლამ და მონახულებამ უკვე რიტუალური სახე მიიღო. სააკაშვილი რომ მართლა ცუდად იყოს, ისინი განგაშს ატეხავდნენ“, — ამბობს ანჯაფარიძე.

ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ სააკაშვილმა შიმშილობის ტექნიკა ძალიან კარგად იცის და ამიტომაც იღებს ისეთ აუცილებელ ელემენტებს, რომ მისი მდგომარეობა არ დამძიმდეს. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ექს-პრეზიდენტს შიმშილობა იმისთვის სჭირდება, რათა მისი პიროვნების კიდევ უფორ მეტი აქტუალიზება მოხდეს. სააკაშვილი იმპულსური ადამიანია, რომლისთვისაც მოკლევადიანი შედეგია მნიშვნელოვანი. ამიტომ მელიას ახლა ახალი დავალება მისცა და ყოველდღიური აქციები უნდა, ეს კი მეორე ტურისთვის საკმაოდ რთული იქნება.

* * *

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** კი მიიჩნევს, რომ ახლა ენმ-ს საკუთარი ამომრჩევლის მაქსიმალური მობილიზება აქვს გამოცხადებული. ამიტომ 14 ოქტომბერს რუსთაველზე რა რაოდენობის ამომრჩეველიც იყო, მისი მაქსიმუმიც ეს იქნება. ძაბირაძე მიიჩნევს, რომ ყველაზე მთავარი იქნება ხალხის ქუჩაში გამოყვანის მერე რას აპირებენ. ძაბირაძე ამბობს, რომ სააკაშვილს პერმანენტული აქციები მაშინვე უნდა მოეთხოვა, როგორც კი ის დააკავეს. მისი აზრით, ეს ყველაფერი მაქსიმალურ რესურსს მოითხოვს, ამიტომაც ენმ-ს ერთდროულად ქუჩის აქციები და არჩევნებში მონაწილეობა გაუჭირდება.

„სააკაშვილის ციხიდან აქციებით გათავისუფლება წარმოუდგენელია, ამიტომ გაუგებარია ჩემთვის პერმანენტული აქცია მას რას მოუტანს. ეს გაამართლებდა მაშინ, როცა ის დააკავეს. 1 ოქტომბერს თუკი ციხესთან აქციები დაიწყებოდა მისი გათავისუფლების მოთხოვნით, ეს კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ 14 ოქტომბრის მერე ყოველდღიურად რამდენი ადამიანის მობილიზებას შეძლებენ? ეს ელექტორატი ხომ რეგიონებში უნდა იყვნენ და მეორე ტურებისთვის მოემზადონ! სავარაუდოდ, სააკაშვილს გამოსვლა ეჩქარება, მაგრამ მხოლოდ აქციების იმედად არ უნდა იყოს. მას ხელისუფლება ამ მიზეზით არ გაათავისუფლებს, მით უმეტეს მეორე ტურის წინ, ან თუნდაც მის მერე. ჩემთვისაც გაუგებარია სააკაშვილის და მელიას პათოსი. ის ამბობს, რომ მეორე ტურისთვის უნდა მოვემზადოთო, ექს-პრეზიდენტი კი მიიჩნევს, რომ პარალელურად აქციები უნდა გაიმართოს. ამას რამდენად შეძლებენ არ ვიცი. კი ბატონო, ძლიერი და მყარი პარტიაა და ვნახეთ, ამომრჩევლის მობილიზება შეძლეს. ეს კი სააკაშვილის ფაქტორია, მაგრამ ბოლომდე აქციებით რას მიაღწევენ, ეს ცოტა გაუგებარია“, — ამბობს ძაბირაძე.

რაც შეეხება ენმ-ის მცდელობას, რომ დასავლეთის ყურადღება მიიქციოს, ესეც უშედეგო მცდელობად მიაჩნია ძაბირაძეს: „კი ბატონო, მაგრამ დასავლეთიდან სააკაშვილი ჩამოსვლამდე გააფრთხილეს. ნიკა მელიას დაკავების დროს დასავლეთის რეაქცია და სააკაშვილის დაკავების დროს მათი მხრიდან გამოხატული გამოხმაურება სხვადასხვაა. ხელისუფლების მიმართ ჩვენი პარტნიორების მხრიდან დამოკიდებლება მელიას დაკავების შემდეგ სწრაფად შეიცვალა. ახლა კი, არც ერთმა საელჩომ და არც ერთმა ელჩმა განცხადებაც არ გააკეთა. ამიტომ მსგავსი განცხადების გაკეთება, რომ 14 ოქტომბერი იქნებოდა გადამწყვეტი დღე, არ შეიძლებოდა. ეს მათსავე ამომრჩეველში ნიჰილიზმს იწვევს და ამით ელექტორატს უფრო დაკარგავენ. სააკაშვილი ციხიდან დახსნას ითხოვს და კონცერტის გამართვით მას ვერ დაიხსნიან.

ლიკა ბერიკაშვილი

თამარ კიკნაძე: მაოხრებელი გზირი თავს არ გვანებებს!

„ყველა სამსახურში ნაციონალები არიან, მთელი თაობები მათი სულისკვეთებით იზრდებიან. თუ დროზე არ მოხდება ამის შეცვლა, განსაკუთრებით, განათლების სისტემაში, რამდენიმე წელიწადში ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას მივიღებთ. შეიძლება, იგივე ფიგურები არ დაბრუნდნენ, მაგრამ სწორედ მათი სულისკვეთების ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში“, — ამბობს საუბრისას პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე.

— ნაციონალები ცდილობენ, წარმოაჩინონ, რომ სააკაშვილი ციხეში ეს არის პუტინისთვის გაკეთებული საჩუქარი. ისინი პროგნოზირებენ, რომ რუსული სპეცსამსახურების მხრიდან ციხეში სააკაშვილის ლიკვიდაცია იგეგმება. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი ციხეში პუტინისთვის სასურველი საჩუქარია, თუ საერთოდ არ არის არავისთვის საჩუქარი?

— სააკაშვილი ციხეში პუტინისთვის გაკეთებული საჩუქარი არაა. ვფიქრობ, რომ საქართველოში ჩამოსვლისას მას გარკვეული გარანტიები ჰქონდა. რაც მთავარია, ეს გარანტიები ჰქონდა ქვეყნის გარედან გარკვეული ძალების მხრიდან. გარდა ამისა, როდესაც ქვეყანაში არ იმყოფება ადამიანი, სრულყოფილ ინფორმაციას ვერ ფლობს თავისი ქვეყნის შესახებ. ამიტომ სააკაშვილის შეხედულება საკუთარი ფიგურის ირგვლივ გაზვიადებული იყო, ჩამოვიდა და ფიქრობდა, რომ მოსახლეობა მის მხარდასაჭერად დაირაზმებოდა, რაც არ მოხდა. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მას მხარს არ უჭერს, მეტიც, მოსახლეობა „ქართულ ოცნებაზეა“ გაბრაზებული იმის გამო, რომ სათანადოდ არ შეაფასა სააკაშვილის მოღვაწეობა და მან პასუხი არ აგო იმ დანაშაულებზე, რომელიც ჩაიდინა მმართველობაში ყოფნის დროს.

— რუსეთის მაღალი ეშელონებიდან მაინცდამაინც ხალისით არ ეხმაურებიან სააკაშვილის დაკავებას. ერთადერთი, კომიკური ფიგურა — ჟირინოვსკი ცინიკურადგამოეხმაურა მას, „მიშიკო, რატომ წახვედი თბილისში, რატომ არ ჩამოხვედი მოსკოვში, ჩვენ გადაგარჩენთო“. აინტერესებთ კი ციხეში მყოფი სააკაშვილი რუსებს ისე, რომ საპატიმროში მისი ლიკვიდაცია დაგეგმონ?

— ზოგადად, რაც ხდება საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსებს აინტერესებთ, მაგრამ სააკაშვილის ფიგურა რუსებმა ძალიან კარგად გამოიყენეს თავის სასარგებლოდ, მეშინია, დღესაც მაოხრებელი გზირის ფუნქცია არ შეასრულოს.

იხ. 6 გვ.

ედუარდ შევარდნაძე ღირსების ორდენს გადასცემს ომარ მარგველაშვილს

ჩემო გრიშა, შენ თურმე მეგობრად არ მთვლი და შენს წერილში კომუნისტურად „ამხანაგს“ მიწოდებ. საკვირველია ჩემი საგაზეთო პუბლიცისტური წერილების გამოძვეყნებისთანავე მირეკავდი და მეგობრულად მაძეგდი: „ეს, ჩემო ომარ, უახლოესი ისტორიის ბრწყინვალე ნიმუშია, ეს საბრალდებო დასკვნაა, ეს კონსტიტუცია, ეს ეკონომიკაში სადოქტორო დისერტაცია, ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის და ეკოლოგიის ანალიზის მწვერვალი და“ ა. შ.

მიხაროდა, რაღა თქმა უნდა, შენ ხომ ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წევრი ხარ!

სამწუხაროდ, შენი შეფასებით თურმე მე წარსული არ მქონია?! არადა, მე 14 წლისამ დავიწყე დამხმარე მუშად მუშაობა მშენებლობაზე, შემდეგ მებეტონედ, აგურის მწყობელად, დურგლად, მეარმატურედ, მემონტაჟედ, ბრიგადირად. სპორტის სასახლის მშენებლობაზე კი ქვაბულიდან დაწყებული მის დასრულებამდე ვმუშაობდი. მისი თაღი რკინა-ბეტონის სპეციალური კონსტრუქციებით ჩემი ბრიგადის დამონტაჟებულია და შეკრული, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა სამშენებლო მექანიკის და სეისმოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა კირიაკ ზავრიევმა და მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის კათედრის გამგემ, პროფესორმა ალიოშა კაკუშაძემ.

მის გახსნაზე, 62 წლის წინ ხრუშჩოვი პირველად ჩამოვიდა საქართველოში, როცა ნიკიტამ ზღაპრული სასახლე დაათვალიერა, ბოღმამ დაახრჩო და საქართველოს ყველაზე ღირსეული ლიდერი ვასილ მჟავანაძე სრულიად დაუმსახურებლად გააკრიტიკა. მე, როგორც წარმატებული ბრიგადირი, მიწვეული ვიყავი ამ საზეიმო სხდომაზე. შევარდნაძე მაშინ კომკავშირის ცეკას ახლადდანიშნული პირველი მდივანი იყო და სიტყვით გამოვიდა.

აშენებული მაქვს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, ვერაზე გამომცემლობა „სამშობლო“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქციაზე კი უბნის უფროსად ვმუშაობდი .

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის ხელმძღვანელად რომ დამნიშნეს, 25 წლისაც არ ვიყავი. მაშინ საქართველოში შენდებოდა მხოლოდ ორი ობიექტი, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით იყო გათვალისწინებული. ესენი გახლდათ სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი კაზრეთში და ენგურჰესი.

ურთულესი ობიექტი ოთხ რიგად ლედ. შენთვის, ალბათ, რაღაცას უნდა ნიშნავდეს, რომ მხოლოდ სამი მინისტრის პირველი მოადგილე ვსარგებლობდით დიდი მთავრობის ტელეფონით — ნოდარ მაისურაძე, ვარლამ შადური და მე.

ჩემო გრიშა, მე ვიცხოვრე ძალიან რთული, მაგრამ საინტერესო ცხოვრებით. შენ კი წარსულს მიწუნებ — ნაიკითხე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უწყებანი და, ალბათ, მიხვდები, თუ რა ცხოვრებით ვიცხოვრე და რა წარსული მაქვს, რა გიგანტი ობიექტები მაქვს აშენებული საქართველოში და მის გარეთაც, ჩემი ქვეყნისთვის რა მნიშვნელოვანი პრობლემები მაქვს მოგვარებული. შემდეგ იქნებ დრო გამონახო და ჩემს წიგნებსაც გადაავლო თვალი.

„შევარდნაძესთან ერთხელაც არ მოხვედრილხარო“, რომ წერ, სასაცილოა. შევარდნაძე ერთი თვის დანიშნულიც არ იყო ცკ-ის პირველ მდივნად, ჩემთან კაზრეთში რომ ჩამოვიდა გივი ჯავახიშვილთან ერთად. მათ მთელი კომპლექსი დავათვალიერებინე და წარმოების ურთულესი ტექნოლოგია დეტალურად გავაცანი. „ჩვენ თქვენი

ჯდომამ საზოგადოების თვალში მისი ავტორიტეტი საგრძნობლად შელახა. მე პატივს ვცემ ანზორსაც და ნინოსაც. შენ რომ მათაც პატივს სცემდე და საკუთარ თავსაც, ასეთ დათვურ სამსახურს არ გაუწევდი...

მაგრამ ღრმად იყავი დარწმუნებული, მე შენ მაინც პატივს გცემ, იმიტომ რომ გრიშა ხარ ონიანი.

ცნობისთვის: ვარ საქართველოს საინჟინერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის საინჟინერო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მშენებლობის ეკონომიკის, ორგანიზაციის და მართვის საკითხებზე გამოქვეყნებული მაქვს 18 სამეცნიერო ნაშრომი, ორჯერ ვიყავი მიწვეული წითელი მოედნის ტრიბუნაზე, წარჩინებით მაქვს დამთავრებული საკავშირო მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის აკადემია მოსკოვში, ვარ ღირსების ორდენის კავალერი, ხუთი წიგნის ავტორი.

ჰერიო, გრიშა, ჰერიო, არ გავახაროთ მტერიო!..

გრიშას ვნებანი ანზორისა და ნინოს გამო

სად არის ლოგიკა?

ბრწყინვალედ ჩავბარეთ საბჭოთა კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს სპეციალურ კომისიას, 38 კილომეტრიანი 125 მილიმეტრის დიამეტრის ურთულესი ტრასის წყალსადენით და 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლების დასახლებით, კომბინატის ოთხივე ეტაპობრივ გახსნას ესწრებოდა საქართველოს ცკ-ის ბიუროს და მთავრობის მთელი შემადგენლობა.

ჩემთან მშენებლობაზე დადიოდნენ პოლიტბიუროს წევრი დოლგიხი, საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავჯდომარე ბაიბაკოვი, მშენებლობის მინისტრი კარავაევი, საკავშირო ფერადი მეტალურგიის მინისტრი ლომაკო, საკავშირო სპეციალური სამონტაჟო სამუშაოების მინისტრი ბაკინი, ასევე საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელები მჟავანაძე, ჯავახიშვილი, შევარდნაძე, პატარიძე, ცხაკაია, ჩურკინი. საკავშირო მინისტრები აღნიშნავდნენ სამშენებლო წარმოებისა და ორგანიზაციის მაღალ კულტურას.

კომბინატის წარმატებით დასრულების შემდეგ დამაწინაურეს „საქშახტმონტაჟის“ ხელმძღვანელად, მერე — „საქშახტმშენის“ ტრესტის მმართველად, ჩემი მუშაობის პერიოდში ტრესტი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, საქართველოში მხოლოდ ორი სამშენებლო ტრესტია ორდენოსანი. შემდეგ გადამიყვანეს მშენებლობის მინისტრის მოადგილედ, მერე კი მინისტრის პირველ მოადგილედ. შენთვის, ალბათ, რაღაცას უნდა ნიშნავდეს, რომ მხოლოდ სამი მინისტრის პირველი მოადგილე ვსარგებლობდით დიდი მთავრობის ტელეფონით — ნოდარ მაისურაძე, ვარლამ შადური და მე.

ჩემო გრიშა, მე ვიცხოვრე ძალიან რთული, მაგრამ საინტერესო ცხოვრებით. შენ კი წარსულს მიწუნებ — ნაიკითხე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უწყებანი და, ალბათ, მიხვდები, თუ რა ცხოვრებით ვიცხოვრე და რა წარსული მაქვს, რა გიგანტი ობიექტები მაქვს აშენებული საქართველოში და მის გარეთაც, ჩემი ქვეყნისთვის რა მნიშვნელოვანი პრობლემები მაქვს მოგვარებული. შემდეგ იქნებ დრო გამონახო და ჩემს წიგნებსაც გადაავლო თვალი.

„შევარდნაძესთან ერთხელაც არ მოხვედრილხარო“, რომ წერ, სასაცილოა. შევარდნაძე ერთი თვის დანიშნულიც არ იყო ცკ-ის პირველ მდივნად, ჩემთან კაზრეთში რომ ჩამოვიდა გივი ჯავახიშვილთან ერთად. მათ მთელი კომპლექსი დავათვალიერებინე და წარმოების ურთულესი ტექნოლოგია დეტალურად გავაცანი. „ჩვენ თქვენი

ბატონ ომარ მარგველაშვილი

ბატონ ომარ, ეს ფოტო ალბათ, ბევრ ადამიანს ეცოცხლება. ეს ფოტო ალბათ, ბევრ ადამიანს ეცოცხლება. ეს ფოტო ალბათ, ბევრ ადამიანს ეცოცხლება.

ეს (რომელიც არ გქონიათ), ვიდრე რომელიმე ფიქტის დადასტურება.

ერთხელ სუფრასთან, ვიწრო წრეში, როდესაც ბატონ ანზორ ბურჯანაძის სადღეგრძელოს ვამბობდი (იქ დამსწენ ადამიანები, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან და საკმარისად ცნობილნი), ბატონ ანზორს მივმართე, რომ თქვენი ღვაწლი და ამაგი თქვენი მეგობრებისაგან ცოტა არ იყოს, დაუფასებელი დარჩა და რამდენიმე ფიქტი დავასახელე. სამადლობელ სიტყვაში ბატონ-მა ანზორმა მიმმართა:

— ბატონო გრიგოლ, თქვენ არ გაქვთ უფლება ჩემს მეგობრებზე საყვედურნარევად ისაუბროთ. ჩემი მეგობრები მეამაყებიან, როდესაც ოყავენ ბოდნენ მაშინაც, როცა ცოცხლები ოყავენ და ამეგობრობდით და მეამაყებიან დღესაც, როდესაც ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მათი სახელები ჩემთვის დღესაც საფიცარი და ძვირფასია.

ბატონო ომარ, სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც თქვენი ზეგრელად წამოსროლილი სიტყვები წავიკითხე სტატიაში „ანზოროვნის“ და მამმისის, ბატონი ანზორ ბურჯანაძის შესახებ.

წარსულში თქვენი მინისტრის მოადგილეობა არ ქმნის იმის საფუძველს, რომ თქვენ და შევარდნაძე მეგობრები ყოფილიყავით, ან იცოდეთ რამე იმის შესახებ, რომელიც სხვამ არ იცის და თქვენი ნათქვამი სენსაციას გამოიწვევს საზოგადოებაში. არა, ბატონო! თქვენ ერთი ჩვეულებრივი და იმ მრავალთაგანი მინისტრის მოადგილე იყავით, რომელმაც ისე დასარულა თავის მოღვაწეობა, რომ, დარწმუნებული ვარ, ერთხელაც არ მოხვედრილა შევარდნაძის მიმართ.

ბატონო ედუარდი და ბატონი ანზორი კი ნამდვილი მეგობრები იყვნენ ახალგაზრდობიდან და ბევრი რამ ჰქონდათ მათ მეგობრული და, ალბათ, ბევრი რამ წვრილმანი, რომელიც მე და, მით უმეტეს, თქვენ არასოდეს გვეცოდინება.

თუ თქვენ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ცინიკური ინტონაციით „ანზოროვნად“ მოხსენიებას ვინმეს გულის მოსაგებად უნოდებთ, ისევე ის გიქნიათ, რაც ბევრჯერ გიგაკეთებიათ და თუ მეგობრულად გრძნობთ მათთან თავს და გიგეუმრეთ, მე ვერ ვგრძნობ, რომ თქვენთან რამე ისეთი ახლობლობა გაკავშირებდეთ ან მამასთან, ან ქალბატონ ნინოსთან, რომ ეს მათ შეჰკადროთ.

სხვათა შორის, ბატონო ომარ, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ბაღლდათ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემასრულებელი (თან ორჯერ), ასევე პარლამენტის თავმჯდომარე, ასევე ეუთოს (რომელიც 57 წევრი ქვეყნისგან შედგება) მინისპარზიდენტი (ორჯერ) და ბოლოს, რაც არ გეცოდინებათ — ფეოდორიდან (ჩვ. წ. ალ. V საუკუნის პოლიტიკური მოღვაწე) დაჯნეგული, მარგარიტ ტეტჩერით დამთავრებული, 100 ცნობილ პოლიტიკოსთა შორის ძალაბატონი ნინო გახლავთ მოხსენიებული, როგორც მსოფლიოს ახალგაზრდა პოლიტიკოსი ქალი, რომელსაც თქვენ მილიარდერად „ანზოროვნად“ მოიხსენიებთ.

თქვენი ყველაზე დიდი ბრალდება „ანზოროვნის“ მიმართ, რომელიც არწვენებს უკავშირდება, მე შემდეგნაირად უნდა განგიმარტოთ, ბატონო ომარ:

მოქალაქეთა კავშირი, ქუთაისში, თავის თავმჯდომარიანად, უზარმაზარ თანხებს რომ ურიგებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ მიეცათ ხმა, ამ დროს თქვენ წერთ, რომ შევარდნაძემ ბურჯანაძე ორჯერ გააყვანინა დეპუტატადო, რაო, ვითომ ბნელა, ბატონო ომარ?! ეს რომელ ლოგიკას ექვემდებარება?!

**ბატონი ედუარდის პატივისცემელი ვიხსენებ მე და დავარჩენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, მიუხედავად მისი ტრაგიკული შეცდომებისა, უდიდესი პუშკინოლოგის გამომძღვანებამდე, მაგრამ ერთს შეგიკითხავ — თუ იცავით ან თუ მოუსმენთ ან თუ გაგიგიათ ნოდარ დუმბაძის 70 წლისთავთან დაკავშირებით საგანგებო აკადემიის მემდივანისადმისა რა სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ ძალიან ჩინგიზაძემ ამ ფრაზებით: „ეს ჩემი ბატონი ანზორ ბურჯანაძე, ეს ჩემი ბატონი ანზორ ბურჯანაძე, ეს ჩემი ბატონი ანზორ ბურჯანაძე“ ეს ფრაზა ერთ-ერთ ბატონ-ბატონ ანზორ ბურჯანაძეს ეკუთვნოდა,

ეროვნულ შერიგებაზე საუბარი შეიძლება მაშინ, როცა ნაცები დატოვებენ პოლიტიკურ სცენას!

ანზორ თოთაძე:

ნაცები ავადმყოფები არიან!

მას შემდეგ, რაც სააკაშვილი დაპატიმრეს, „ნაცმოძრაობის“ და მასზე მიტმასნილი ოპოზიციის საყვარელი თემა დიდ ეროვნულ შერიგებაზე საუბარი აღმოჩნდა. თაკო ჩარკვიანის ინიციატივით მოწყობილ მიტინგზეც გამოტანილი იყო ტრანსპარანტი „შევრიგდეთ ყველანი!“ ჩარკვიანის გზავნილი „ძართული ოცნების“ მიმართ კი იყო, „ჩემი შემოთავაზებაა, დაიწყოს საქართველოში დიდი შერიგების დასაწყისი – ეს თქვენც გჭირდებათ“.

უფრო ადრე ეს იდეა გიგი უგულავამ გაახმოვანა და „მილენიუმის აქტზე“ ალაპარაკდა, რომელიც შევარდნაძის, სააკაშვილის, ივანიშვილის ეპოქებს მოიცავდა. უგულავა მილენიუმის აქტის, ანუ ამნისტიის პერიოდსაც გვთავაზობდა, ეს უნდა შეხებოდა 2000-2021 წლების მონაკვეთს.

დიდ შერიგებაზე საუბარი, ერთი შეხედვით, კეთილშობილური იდეაა, მაგრამ გააჩნია, ვისთან რიგდები? ადამიანებთან, რომლებსაც მონანიების ნატამალი არ ეტყობათ? თანაც, რიგდები მოლაშვილის, გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, თეთრაძის და სხვა ადამიანთა ტრაგედიების ხარჯზე? შეიძლება თუ არა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის შემდეგ დიდ შერიგებაზე საუბარი?

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** ჩვენთან საუბარში იხსენებს, რომ 30 წელია, ამ ქვეყანაში ლაპარაკი მიდის შერიგებაზე და ეს ვერ მოხერხდა. თავის დროზე მოწოდებები იყო ამის თაობაზე, სიონში პარაკლისებსაც იხდიდნენ, სამღვდელოება, ილია მეორე ჩართული იყო ამ საქმეში, მაგრამ არ ხდება ასე მარტივად. შერიგება რომელიმე აქტზე ხელის მოწერით და ამ აქტის გაფორმებით არ მიმდინარეობს. რეალური შერიგება დაიწყება მაშინ, როცა ქვეყანაში არსებული ვითარება შეიცვლება.

პოლიტოლოგის თქმით, ჩვენ გვინდა, რაღაც ნაბიჯი გადავდგათ ისე, რომ ვერ ვაცნობიერებთ მიზეზებს. როცა ქვეყანაში არ არის დემოკრატიული ინსტიტუტები, მაშინ ეს შერიგება არ მუშაობს და ბლეფია. არც ერთმა ხელისუფლებამ არ შეუწყო ხელი ამ პროცესს, რომ ქვეყანაში დემოკრატიულ ინსტიტუტებს დაეწყო ფუნქციონირება.

„2012 წელს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ალბათ, საქართველოში ერთადერთი ვიყავი, რომელმაც მოვუწოდე „ოცნებას“, თავი დავანებოთ წარსულს, ბოლომდე ჩვენ ვერ გავალთ ამ საკითხში და დავიწყოთ ნორმალური, დემოკრატიული, დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობა. სამართლიანობის აღდგენაზე მიმდინარეობდა მაშინ დიდი საუბარი. მაშინ მომყავდა პოლონეთის მაგალითი, სადაც იარუზელსკიმ საშინელებები ჩაიდინა, მაგრამ მაშინ მათ შეძლეს და გადადგეს შერიგებისკენ ნაბიჯი. ვალენსამ გადადგა ეს ნაბიჯი. ამაზე რომ ვსაუბრობდი, იმავე გადაცემაში ჩაერთო ანა დოლიძე. მანაც იგივე თქვა, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მაგალითი გაიხსენა, მათ შორის, ჩილეს პრობლემა, ასეთ შემთხვევაში შერიგება ხდება. ესპანეთში მოხდა შერიგება ფრანკოს მიერ, ბევრგან მოხერხდა შერიგება, მაგრამ ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა აქვს. როცა ეს ნაბიჯი გადაიდგა, ფრანკისტული რეჟიმი შეცვალა დემოკრატიულმა რეჟიმმა, კომუნისტური რეჟიმი პოლონეთში შეცვალა დემოკრატიულმა რეჟიმმა. საქართველოში ასეთი ცვლილებები არ მომხდარა. როცა ხელისუფლება ამ ნაბიჯს გადადგამს, ეს თავისთავად გამოიწვევს შერიგებას, მოახდენ ამის დეკლარირებას, თუ არა. მაგრამ, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებას გადმოიბარებ, იგივე სასამართლო და მოსამართლეები გყავს, რაც მას ჰყავდა, იქ შერიგება ვერ მოხდება“, – გვითხრა ვახტანგ ძაბირაძემ.

მანვე განმარტა, რომ შერიგება რთულია მოლაშვილის, გირგვლიანის და სხვა ტრაგედიების ფონზე, მაგრამ შერიგება იმდენად მნიშვნელოვანი აქტია, თუკი ამ ნაბიჯზე მივდივართ, მაშინ რეალური სამართალი უნდა იყოს ქვეყანაში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადავდგათ ეს აუცილებელი ნაბიჯი, რადგან, როცა იქნება, მაინც მოგვიწევს შერიგების დაწყებაზე ფიქრი.

დემოგრაფი **ანზორ თოთაძე** მიიჩნევს, რომ ნაცებთან ვერავითარი შერიგება ვერ მოხდება, რუსთაველს კარგად აქვს ნათქვამი, „თავსა ახლად ვერვინ იშობს“, ნაცებიც თავს ხელახლა ვერ იშობენ. დემოგრაფის აზრით, ესენი რომ იყვნენ ნორმალურები, ინტელიგენტები, მაშინ შეიძლება დათმობასა და შერიგებაზე საუბარი.

„იმერეთს რა ვუთხარი, ხატია დეკანოიძეს რომ მოუსმენენ, თქვენ გგონიათ, უფულოდ ხდება ეს ყველაფერი ქუთაისში? ერთ დროს ქუთაისი უფრო მეტად კულტურული ქალაქი იყო, თბილისს კვებავდა ინტელიგენციით, მაგრამ უგულავასთან, ბოკუჩავასთან შერიგება ვერ მოხდება. ერთადერთი გამოსავალია, ნაცებმა დატოვონ პოლიტიკური სცენა და „ნაციონალების წასვლა სულაც არ იქნება ეროვნული დანაკარგი. კაცის მკვლელებთან შერიგება შეიძლება? მანიაკები იყვნენ, ტკბებოდნენ, როცა მათ მიერ ნაწამები ხალხის სურათებს ხედავდნენ. ესენი ავადმყოფები არიან. თაკო ჩარკვიანის მკვიდრმა ბიძამ, ჯიმი ჩარკვიანმა გაზეთ „საქართველოს რესპულიკაში“ დაწერა წერილი, სადაც ბიძინა ივანიშვილს ემადლიერება, ჩვენს ოჯახზე დიდი ამაგი აქვსო. თაკო ჩარკვიანს კი იდეაფიქსი აქვს თავში და მთელმა მსოფლიომ რომ უთხრას, არა ხარ სწორიო, თავისას ვერ გადაათქმევინებ. რაც შეეხება სააკაშვილს, მისი ბიძა მსხვილი მილიარდერია, ერთი მილიარდიც რომ გადმოაგდოს საქართველოში, მთელ საქართველოს ააყირავებს. მით უმეტეს, მაშინ, როცა ხალხს უჭირს“, – აცხადებს ანზორ თოთაძე ჩვენთან საუბრისას.

ამასთან, სინანულით შენიშნავს, რომ ახალგაზრდები არაფერს კითხულობენ, მარტო ტელეფონზე არიან მიბმულები, მათ არ იციან, რა მოხდა 10-13 წლის წინ, არც აინტერესებთ, რა ხდებოდა სააკაშვილის დროს. ამდენად, დემოგრაფი ფიქრობს, რომ ჩვენ ახალგაზრდებიც წაგვართვა მიშამ, ამას წლები უნდა, რომ ახალგაზრდები ქართულად აზროვნებდნენ, თავიანთი სამშობლო და ხალხი აინტერესებდეთ. თუმცა, ცხადია, ყველა ახალგაზრდაზე ამას ვერ ვიტყვით.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

თამარ ქიკნაძე:

მაოხრებელი გზირი თავს არ გვანებებს!

(მეოთხე გვერდიდან)

გამოვრიცხავ, რომ საქართველოს საკეთილდღეოდ ითამაშოს მისმა ფიგურამ. ზუსტად სულხან საბას მაოხრებელი გზირის მსგავსია, წავიდა და აღარ გვანებებს თავს, მისი ფიგურის გამო სულ პოლიტიკური კრიზისია. ის ძალები, რომლებიც მას უჭერენ მხარს, პოლიტიკური კრიზისის მაპროვოცირებლები არიან. ქვეყანას აღარ აქვს საშუალება, ნორმალური პოლიტიკური ცხოვრებით იცხოვროს, ვიზრუნოთ ჩვენს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ განვითარებაზე.

— სააკაშვილმა მიაღწია იმას, რომ დღის თემაა და არჩევნები თითქოს მიგვავიწყა.

— ძალიან კარგი პიარტექნოლოგები ჰყავს მას და თვითონაც მხოლოდ პიარითაა დაკავებული, საქმე ნამდვილად მის გამო არ კეთდება, მე ვისურვებდი, მალე გავიდნენ ნაციონალები პოლიტიკური სცენიდან. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა ის პროცენტი, რომელიც მათ ამ არჩევნებზე მიიღეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კვლავ არ მოგვეცემა დამშვიდებული ცხოვრების საშუალება.

— მართლაც გასაკვირია, ერთი მხრივ, ძლივს შეკრიბა მომხრეები თაკო ჩარკვიანმა და ისე ჩანდა, რომ მიშამ დაღალა ჩვენი საზოგადოება, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ არჩევნებზე მათ დაუფიქსირდათ ამხელა შედეგი. მაშინ ვინ აძლევს მათ ხმას?

— ჩემი აზრით, ლატენტური მომხრეები მათ ჰყავთ, რომლებსაც ხმამაღლა ან რცხვენიათ, ან არ უნდათ, დაიფიქსირონ, რომ სააკაშვილის მომხრეები არიან, შეიძლება სულაც პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. მაინც ვფიქრობ, რომ გავლენის აგენტები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში სტრუქტურულად და შიგნაარსობრივად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მისი მომხრეებისგან უნდა გაიწმინდოს. თუმცა ეს არ არის ტიპური შემთხვევა, რადგან ბიუროკრატიული აპარატი უნდა იყოს მიუკერძოებელი და ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ისინი კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ თამაშს თამაშობენ, ვინაიდან გარკვეული გამორჩენა ჰქონდათ სააკაშვილის დროს. ძალიან დიდი შეცდომა იყო, რომ ხელისუფლებაში მოსვლისას „ქართულმა ოცნებამ“ არ ჩაატარა ლუსტრაცია, დაწყებული უმაღლესი სასწავლებლებიდან, დამთავრებული საბავშვო ბაღებით.

— გულისხმობთ იმას, რომ ყველა სამსახურში ისევ ნაციონალები არიან წარმოდგენილნი ძირითად თანამდებობებზე?

— დიახ, ყველა სამსახურში ეგენი არიან, რაც მთავარია, მთელი თაობები მათი სულისკვეთებით იზრდებიან. თუ დროზე არ მოხდება ამის შეცვლა, განსაკუთრებით, განათლების სისტემაში, რამდენიმე წელიწადში ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას მივიღებთ.

— ანუ ნაციონალები დაბრუნდებიან ხელისუფლებაში და მათი რეინკარნაცია მოხდება?

— შეიძლება, იგივე ფიგურები არ დაბრუნდნენ, მაგრამ სწორედ მათი სულისკვეთების ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში, რაც საქართველოსთვის დამღუპველია.

— მელიას, როგორც არაინტელექტუალურ ადამიანს, აქვს პირველობის ამბიცია, ორი ლიდერი ერთად ვერ ძოვს და მას შეიძლება წინააღმდეგობად მოეჩვენოს სააკაშვილი. შესაძლოა, ესეც იყო მიზეზი, რომ მელია არ გამოჩნდა თაკო ჩარკვიანის აქციაზე და ისიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მართლაც უხარია სააკაშვილის ციხეში ყოფნა?

— დიდი ინტელექტით რომ ვერ გამოირჩევა მელია, ეს კარგად ჩანს. მე რომ მკითხოთ, არც სააკაშვილი არ გამოირჩევა დიდი ინტელექტით, მაგრამ უბედურებაა, რომ ქართველ ხალხს შეუძლია ლიდერად მიიჩნიოს ასეთი ადამიანები. ამიტომაც ვამბობ, რომ ხალხის აღზრდაა საჭირო, ახალგაზრდა თაობასთან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, ყოველ გამოსვლაში ხელისუფლებას ამის შესახებ მოვუწოდებ. სხვათა შორის, ამას წინათ ირაკლი ღარიბაშვილიც და ირაკლი კობახიძეც იძახდნენ ამის შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებში გარკვეული მუშაობაა ჩასატარებელიო. წარმოიდგინეთ, 2008 წელს, ვინც 10 წლის იყო, ეს უკვე ელექტორატია, მათ არ ახსოვთ ძველი პერიოდი და ჰგონიათ, რომ ის საშინელებები ჩვენს ქვეყანაში არ ხდებოდა, ვერ აღიქვამენ იმ სიმწვავით, როგორც უნდა აღიქვან. ამიტომ იდეოლოგიური მრწამსია განსასაზღვრი ქვეყნისთვის, თუკი გვინდა ეროვნული სახელმწიფო ავაშენოთ.

— ალბათ, ისტორია უნდა დაიწეროს, მაგრამ ასე მოკლე გადასახედიდან ობიექტური ისტორიის დაწერა რთულია.

— უნდა დაიწეროს ისტორია, მაგრამ არა დამახინჯებული, ტენდენციური, არამედ რეალური. მახსენდება ორუელის სიტყვები, „ვინც ფლობს აწმყოს, ის ფლობს წარსულს; ვინც ფლობს წარსულს, ის ფლობს მომავალს“. არ უნდა ვასწავლოთ ისეთი ისტორია, რომელიც სხვის ინტერესებს ითვალისწინებს და არა ქართველი ხალხისა და საქართველოს ინტერესებს.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

როდის მექნება ჩემს მშობლიურ სკოლაში გაკვეთილის ჩატარების უფლება?..

ლია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ მიხეილ ჩხენკელს

მოგესალმებით, პატივცემულო მინისტრო!

მე, ლეილა არჩემაშვილი, მცხოვრები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბაანში, პროფესიით ვარ მასწავლებელი და ამავე დროს, პარალელურად, ათეული წლებია ვთანამშრომლობ პრესაში, სხვადასხვა გამოცემებში; მაქვს საკუთარი საგანმანათლებლო-სალიტერატურო ჟურნალი „ქართველები“, რომელიც პერიოდულად გამოდის.

ხშირად დამიბეჭდავს წერილები პერიოდულ გამოცემებში უსამართლობაზე, ბიუროკრატიაზე, არაკანონიერ ქმედებებზე... და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ეს ყველაფერი მე თუ გადამხდებოდა თავს.

ჩემი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, უკვე იძულებული ვარ, საჯაროდ მოგმართოთ.

თქვენს სამინისტროში 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შემოვიდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, მარიამ ჯაშის, 2019 წლის 22 ოქტომბრის №11813/4-4/19 და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, ბერიკა შუკაკიძის წერილები, სადაც მოყვანილი იყო ჩემი განცხადებები (სამინისტროში რეგისტრაციის ნომრები 1288881 30/09-2019, 1435135 22/10.2019) და ეს განცხადებები ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. კოჭბაანის საჯარო სკოლაში ჩემი ორწლიანი მუშაობის დროს ჩემ მიმართ დირექტორის მხრიდან არაკეთილსინდისიერ მოპყრობასა და ბოლოს ხელშეკრულების გაუქმებას.

ჩემი წერილების საფუძველზე, ჯერ კიდევ 2019 წლის ზაფხულში, კოჭბაანის საჯარო სკოლაში, შემოწმების მიზნით, მოსულა (მე არ შემხმიანებია არავინ) საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის აუდიტი გიორგი შათირიშვილი. 2019 წლის 16 სექტემბერს ამავე რესურსცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე მაძლევს წერილს, რომ ჩემ მიერ განცხადებაში მითითებული დარღვევების ფაქტები კოჭბაანის სკოლაში არ იკვეთება (MES 6 19 01205865).

ორი თვის შემდეგ ზემოაღნიშნულ სკოლაში (ჩემი მშობლიური სკოლაა) 2019 წლის 2 ნოემბრიდან შემოდიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები და ერთკვირიანი შემოწმების შედეგად სკოლაში პოულობენ უამრავ დარღვევას. დებენ შიდა აუდიტის დეპარტამენტის 21-გვერდიან დასკვნას (№2206201717, 22.06. 2020).

ჩემი თხოვნის საფუძველზე, თქვენ გადმოგიგზავნეთ ამ დასკვნის ასლი და აგრეთვე სსიპ – საგარეჯოს მუნიპალიტეტის სოფ. კოჭბაანის საჯარო სკოლის წერილობითი გაფრთხილების მიცემის შესახებ თქვენი ბრძანების (MES 0 20 0000532049, 26.06.2020) ასლი.

ამ დოკუმენტებში არაფერი წერია იმის თაობაზე, რომ დირექტორის მხრიდან დაირღვა შრომის კოდექსი და რამდენად კანონიერია ჩემთან, პედაგოგთან, ერთი სასწავლო წლის (2018-2019) განმავლობაში, 4-ჯერ 3-3-თვიანი ხელშეკრულების დადება; ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამარ წიკლაურის მიერ ჩემი გამოძახება კომპიუტერების ოთახში და სიტყვიერი შეურაცხყოფა – „არასპეციალისტი ხარ! წადი სკოლიდან!“ ოთხივე ხელშეკრულების ასლი თქვენთან არის.

> ცნობილია, რომ შრომის კოდექსში წერია: **დაუშვებელია დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება კანონიერი მიზეზის მითითებისა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე.**

1984 წელს დავამთავრე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიათ-ფილოლოგიის ფაკულტეტი სპეციალობით – ქართული ენა და ლიტერატურა. 1980 წლიდან ვმუშაობდი ამ სკოლაში ჯერ მასწავლებლად და 1990 წლიდან 1999 წლამდე – სკოლის დირექტორად. 1997 წელს გავიარე პირველი ატესტაცია და საგარეჯოს რაიონის ათასი პედაგოგიდან 7-ს მოგვენიჭა უმაღლესი მასწავლებლის კატეგორია. მუდამ ვმონაწილეობდი მასწავლებელთა სამეცნიერო რესპუბლიკურ კონფერენციებში. შემდეგ ვიმუშავე პრესაში და კვლავ სკოლას დავუბრუნდი. ვიმუშავე ქ. საგარეჯოში შპს „თამარი გარეჯელის“ კერძო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. ოჯახური პირობების გამო მომიწია დაბრუნება ჩემს სოფელ კოჭბაანში – წლების განმავლობაში ვუვლიდი ოჯახის ავადმყოფ წევრს.

2017 წელს ჩავაბარე სასერტიფიკაციო გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (VII-XII კლ.) 10 კრედიტქულაზე. ჯერ საპენსიო ასაკი არ მაქვს და უმუშევრობის გამო ძალიან გამიჭირდა. ავადმყოფსაც ვერ მივატოვებდი და გამოცდის ჩაბარების შემდეგ ჩვენი სოფლის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ მარინე თათარაშვილს (მას სკოლაში ზეგანაკვეთური დატვირთვა ჰქონდა) ვთხოვე, ერთი კლასი, 5 კვირეული საათი დაეთმო ჩემთვის. შემპირდა, ჩემი დისშვილი რომელ კლასშიც სწავლობს, იმ კლასს დაგითმობო. თუმცა, ორ დღეში გადააფიქრებინეს და სასტიკი უარი გამომიცხადა.

მონაწილეობა მივიღე სკოლის სპეცმასწავლებლის შესარჩევ კონკურსში და დავინიშნე სპეცმასწავლებლად (მასწავლებლის სტატუსიც არ მქონდა 2017-2018 სასწავლო წელს). 2018-2019 სასწავლო წელს დავინიშნე (კონკურსის წესით) ისტორიის მასწავლებლად, ჩემი ფაკულტეტი ისტორია-ფილოლოგიაა და ინსტიტუტში სწავლისას ჩაბარებული მაქვს ისტორიის სამი საგანი. გადავწყვიტე, რაკი ქართულის საათები არ მომცეს, სასერტიფიკაციო გამოცდაც ჩამებარებინა ამ საგანში და დავრეგისტრირდი კიდეც.

1999 წელს სკოლაში დავტოვე ძვირფასი ბიბლიოთეკა, 1200 წიგნით, და მათი ჩამონათვალი – აკინძულ წიგნად... იმის შემდეგ ერთი ინვენტარიზაციაც კი არ ჩაუტარებიათ (5 წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს), ბიბლიოთეკა სრულად გაძარცვული დამხვდა. თქვენი სამინისტროს აუდიტის თანამშრომლებმა ვერც წიგნადი ფონდი ნახეს და ვერც სარეგისტრაციო წიგნი. მიუხედავად ამისა, საინტერესო და შინაარსიანი გაკვეთილების ჩატარების მიზნით, სახლიდან მიმქონდა მოსწავლეებთან წიგნები საკუთარი ბიბლიოთეკიდან.

უფროსკლასელებს ორი სასწავლო წლის განმავლობაში ვამზადებინებდი მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციისათვის თემებს სამ სექციაში: ფოლკლორის, ისტორიის, ქართული ენის. სამივე სექციის თემები დაჯილდოვდა მოსწავლეთა ეროვნული სასახლის დიპლომებითა და სიგელებით, რაც სკოლას თამარ წიკლაურის დირექტორობის პერიოდში (2011 წლიდან) არ ღირსებია.

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის (აწ განსვენებული) თამარ ჯაბადარის თხოვნით, 2006-2016 წლების განმავლობაში ვასწორებდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სკოლის მოსწავლეთა საკონფერენციო 80-მდე თემას (3-4 სექციაში მაინც), ვწერდი რეცენზიებს საუკეთესო ნაშრომთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე გასაგზავნად. მაშინ ვერ ვნახე კოჭბაანის სკოლის მოსწავლის თუნდაც ერთი თემა და ვთხოვე პედაგოგებს ამ მიმართულებით ემუშავათ, წარმოეჩინათ სკოლა და ჩვენი მოსწავლეები. ეს თხოვნა ჩემი მხრიდან ძალიან დიდ შეურაცხყოფად მიიღეს. როდესაც მეათეკლასელმა ც. მ.-მ კლასში გამიმხილა, რომ მათთვის საკონფერენციო თემის წერა არავის უსწავლებია და არ იცოდა, როგორ დაეწერა, ისიც მე შევასწავლე მოსწავლეებს...

სკოლაში პირდაპირ კაბინეტებში, ხშირია ქეიფები, ღრეობა, რაც ყოვლად დაუშვებელია გინდ სამუშაო, გინდ არასამუშაო საათებში. რაზეც ხშირად გამოვთქვამდი პროტესტს.

მოქეიფე პედაგოგებს უნდათ ჩემნაირი „ხელის შემშლელი“ სკოლაში?

მოგახსენებთ როგორ მოხდა ჩემთვის ხელშეკრულების შეწყვეტა:

2019 წლის ზაფხულში მე განცხადებით მივმართე სსიპ განათლების ხარისხის მართვის ცენტრს სკოლის დირექტორის თამარ წიკლაურის მხრიდან ჩემ მიმართ შეურაცხყოფების, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და ზეწოლის თაობაზე. ეს, რა თქმა უნდა, მაშინ გაიგო საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ. 2019 წლის სექტემბრის დასაწყისში დამირეკა სპმთპ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ რომან ზუკაკიშვილმა (ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, იგი 15 პოეტური კრებულის ავტორია) და მკითხა, რა ისმის განათლების ხარისხის მართვის ცენტრიდან ჩემ მიერ შეტანილი განცხადების თაობაზე? მე ვუპასუხე, რომ შესწავლის პროცესშია და ჩვენი სატელეფონო დიალოგი ასე გაგრძელდა:

– გუშინ იყო ჩემთან, კაბინეტში, ერთი ქალბატონი (ამ ქალბატონის ვინაობა მან არ გამიმხილა. ჩემი ეჭვით იგი იყო საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე. – (**ლ. ა.**) და ასე თქვა: ვნახოთ, როგორ მიიღებს ლეილა სექტემბრიდან ისტორიის საათებსო! მერე მე ვუთხარი, რომ ლეილას წერილში თქვენ ნახსენები არ ხართ და რატომ ნერვიულობს? მან მითხრა: მერე რა, მაინც ჩემი სკოლაა და რატომ გაიტანა ლეილამ ნაკლოვანებები რაიონს გარეთო?

მერე მე მომმართა რომანმა და „რჩევა“ მომცა:

– შენც შეგერგო ეგ ისტორიის საათები რა, მოგეთმინა და ყოფილიყავი წყნარადო.

ძალიან განვაწყენდი.

რა მომეთმინა, შეურაცხყოფა? ექვსი სკოლა დაიხურა გარშემო. 1997 წელს ექვსწლიანად რეორგანიზებული სკოლა ისევ არასრულ საშუალოდ, გადაკეთდა დიდი ბრძოლის შედეგად, მე დავტოვე, ამდენი ვიწვალე, მთის 4 სოფელს სიცოცხლის ერთადერთი ნიშანწყალი მე შევუნარჩუნე, 9 წელიწადი ლამის უხელფასოდ ვიმუშავე.

ამ საუბრიდან უკვე გავიგე, რომ ჩემი ხელშეკრულება საფრთხეში იყო და „ჩემი განაჩენიც“ ზემდგომთა მხრიდან გამოტანილი იყო.

2019 წლის 16 სექტემბერს, სწავლის დაწყების დღეს, 8 საათსა და 45 წუთზე სკოლაში მივედი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ თამარ წიკლაურს ჩემთვის არ შემოუხედავს, არ მომესალმა. მე ხან სამასწავლებლოში ვიყავი, ხან სკოლის დერეფანში. ზუსტად 13 საათზე შევედი კომპიუტერების ოთახში, თამარ წიკლაური იქ იჯდა მარტო. ვკითხე: აგრძელებს თუ არა ხელშეკრულებას ჩემთან და მიპასუხა:

– დენი და ინტერნეტი არ არის და ხელშეკრულებებს ვერ ვწერ.

– ხვალ შევდივარ გაკვეთილებზე? – ვეკითხები.

– არ ვიცი, – მპასუხობს.

– მოვიდე ხვალ გაკვეთილებზე? – ვუმეორებ კითხვას.

– არ გაპატიებ, სკოლის საქმეები გარეთ რომ გაიტანე! – დამემუქრა, და დაამატა: მე მამაჩემის ხათრით მიგიღე სკოლაშიო (მამამისი ჩემი თანაკლასელი იყო. **ლ. ა.**) (?!)

– სახლში იყავი და დაგირეკავ, დამელოდეო, დამაიმედა ბოლოს წიკლაურმა.

მეორე დღეს, 17 სექტემბერს, დავრეგისტრირდი ისტორიის სასერტიფიკაციო გამოცდაზე, 7 ნოემბერს უნდა მქონოდა, თბილისის 147-ე საჯარო სკოლაში, (საგამოცდო ცენტრი), გამოცდის ნომერი: 902415426.

ყოველდღე ველოდი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შეხმიანებას, მაგრამ ამაოდ. არადა, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილების საფუძველზე პედაგოგებს, რომელნიც დარეგისტრირებულნი ვიყავით 2019 წლის ნოემბრის მასწავლებლის გამოცდაზე, უფლება გვქონდა წლის ბოლომდე, მხოლოდ პირველი სემესტრის განმავლობაში, გვემუშავა. და, თუ ვერ დავადასტურებდით საგნობრივ კომპეტენციას 10 კრედიტქულის მოპოვებით, მაშინ ჰქონდა სკოლის ადმინისტრაციას უფლება, მეორე სემესტრის დაწყებამდე, ერთი თვით ადრე, გამოეცხადებინა კონკურსი.

მასწავლებლის სტატუსის ამაღლება არ მაცალა. და ვამატებ: ქართულის 80 წლის მასწავლებელი მედეა მჭედლური, ჯილდო – თანხის სანაცვლოდ, 2019 წლის ბოლოს სკოლას ტოვებდა და მისი საათები, პირველადი კონკურსის საფუძველზე, ცხადია, მე უნდა გადმომცემოდა. მაგრამ სწორედ ეს არ უნდოდა თამარ წიკლაურს!

ჩემთვის ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ჩემი სკოლის დირექტორობის დროს (90-ან წლებში) საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე ქნი თამარ საგინაშვილი თავისი სურვილით მივიდა სააგანმანათლებლო რესურსცენტრში და გაკვირვებულმა ჰკითხა მანანა ცუცქირიძეს: „ლეილას, უმაღლესი დონის მუშაკს, ეს როგორ ჰკადრეთ?! განა რამდენი გყავს რაიონში ლეილასნაირი კვალიფიციური პედაგოგი?!“ ესეც ემახსოვრება განათლების რესურსცენტრის უფროსს.

იხ. 9 გვ.

ᲣᲪᲮᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲣᲪᲮᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

(ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

2. ბ-ნი გ. გახარია აცხადებს, რომ მისთვის უმთავრესია ძლიერი, კორუფციისაგან და ნეპოტიზმისაგან თავისუფალი სახელმწიფოს შექმნა (ვის არ უნდა ასეთი სახელმწიფო!) და ამ საქმეში, მისთვის პარტია „ქართული ოცნება“ ყოველთვის მხოლოდ ინსტრუმენტი იყო. მას მაგალითად მოჰყავს მისივე გამოსვლა პარლამენტში, როცა მას ამტკიცებდნენ პრემიერ-მინისტრად 2020წ-ს, რომელშიც მან, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზი გაუსვა კორუფციისა და ნეპოტიზმის პრობლემას. მე მეგონა, რომ მმართველი პარტიის მიერ პრემიერ-მინისტრობის თანამდებობაზე წარდგენილი მისივე პარტიის წევრი, თავის გამოსვლაში ახმოვანებდა პარტიის საერთო და არა მხოლოდ საკუთარ ხედვას, მითუმეტეს, რომ ამ პარტიის პროგრამაშიც არის ასახული ეს მიზნები და მათ პრაქტიკული ყურადღებაც ექცევა. მისი თქმით, გამოვიდა, რომ პარლამენტში ზემოაღნიშნული გამოსვლის შინაარს, არ ჰქონია რაიმე საერთო „ქართული ოცნების“ პოლიტკასთან. იმედია, მოგვიანებით გავიგებთ თუ როდის, რატომ და რის საფუძველზე ჩათვალა მან ის, რომ „ქართული ოცნება“ მისი საკუთარი გეგმების განხორციელების მხოლოდ ინსტრუმენტია, როდესაც პირიქით, პრემიერ-მინისტრიც, მთლიანად მთავრობაც და მინისტრებიც არიან საპარლამენტო მმართველი პარტიის ან კოალიციის მიერ განსაზღვრული საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტები. როცა ამ საკითზე დავფიქრდი, გამიელვა აზრმა — მისი გადადგომის მთავარი მიზეზი ის ხომ არ გახდა, რომ მას არ დაუქვემდებარეს ან არ დაექვემდებარა პარტია „ქართული ოცნება“, ან ამ ვითარებამ ხომ არ ათქმევინა მას ის, რომ ბ-ნ ბ. ივანიშვილმა არ გაამართლა მისი იმედები?

3. კორუფციის აღმოფხვრის ბ-ნ გ. გახარიას სავარაუდო პოტენციალის შესახებ: როგორც ვიცით, ბ-ნ გ. გახარიამ „ქართული ოცნების“ მმართველობისას საჯარო სექტორში საქმიანობა დაიწყო ბიზნეს-ომბუდსმენის თანამდებობაზე (2013-16 წ.წ.), შემდეგ გახდა ჯერ ეკონომიკის (2016-17 წ.წ.) და შემდგომ შინაგან საქმეთა მინისტრი (2017-19 წ.წ.) დაბოლოს (2019-21 წ.წ.), იყო პრემიერ-მინისტრი. ეს ის თანამდებობებია, საიდანაც ყველაზე კარგად ჩანს მსხვილი კორუფციული გარიგებები და სისტემური კორუფცია თუ ასეთები არსებობენ(წვრილი, არასისტემური კორუფციიდან ქვეყნის სრულად განთავისუფლება მხოლოდ ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელმა ქვეყნებმა მოახერხეს). შეიძლება, გამომრჩა, მაგრამ ბ-ნ გ. გახარიასგან, საქმიანობის შვიდი წლის განმავლობაში არ გამიგია რაიმე განცხადება მის დაქვემდებარებულ სტრუქტურებში კორუფციის არსებობაზე ან მის წინააღმდეგ ქმედების შესახებ. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ ორად-ორი გარემოებით: ამ სტრუქტურებში მასშტაბური კორუფციის არარსებობით ან არსებულ კორუფციასთან შეგუებით. ხოლო, თუ ვინმე უკრძალავდა და ხმას ვერ იღებდა, ეს საინტერესო თემაა, მაგრამ, სულ მცირე, უპრინციპობის მაჩვენებელი. დავუშვათ, ბ-ნმა გ. გახარიამ იცის კორუფციით დაავადებული სტრუქტურები და მისი სათავეები, იცის აგრეთვე თუ როგორ აღმოფხვრას ეს სენი ან შეამციროს კორუფციის რისკები და მხოლოდ მას შემდეგ აპირებს დაიწყოს მოქმედება, როცა მისი პარტია გახდება მმართველი, ის კი პრემიერ-მინისტრი. ეს ასეც რომ იყოს, შეესაბამება სახელმწიფო ინტერესებით განმსჭვალული მოღვაწის საქმიანობას?

4. რას შეიძლება ველოდოთ ბ-ნ გ. გახარიასაგან ნეპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით? თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, თავად ბ-ნი გ. გახარია „ქართული ოცნების“ ორბიტაზე და ბიზნეს ომბუდსმენის თანამდებობაზე აღმოჩნდა ნაცნობების შუამავლობის წყალობით და არა რაიმე კონკურსში მონაწილეობით, ასევე „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობის წინაშე გაწეული რეკომენდაციებით და არა რაიმე პროფესიოული დამსახურების გამო დაიკავა ჯერ ეკონომიკისა და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობები დაბოლოს გახდა პრემიერ-მინისტრი, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი, სავარაუდოდ, მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებთა ან მიმღების მაღალი ნდობის გამო (იმედია, ამასაც გავიგებთ მალე). ალბათ, ძალიან ძნელია და განსაკუთრებული თვისებები ესაჭიროება, განიხილავდე პარტიას ან რაიმე სხვა ერთობას მხოლოდ საკუთარი, თუნდაც კეთილი მიზნების რეალიზაციის ინსტრუმენტად და აღწევდე ამ პარტიის ან ერთობის წევრთა ასეთ უმაღლეს ნდობას. ვფიქრობ, ჩემსავით გაუჩნდა მრავალს კითხვა „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და გასაკუთრებით ბ-ნ ბ. ივანიშვილის მიმართ მასზედ, თუ როგორ ვერ გაარკვიეს 7 წ-ს განმავლობაში ის, თუ რამდენად საიმედო თანამოაზრე იყო ბ-ნ გ.გახარია ერთის მხრივ, სახელმწიფოსთვის კარგი იქნებოდა ეს ადრე გარკვეულიყო, მეორეს მხრივ, შეიძლება, უკეთესიც არის ის, რომ „ქართულ ოცნებაში“ ერთმანეთზე არ ეჭვიანობენ და რეაგირებენ მხოლოდ ფაქტებზე.

ბ-ნ გ.გახარიას მიერ ახლობლების დანიშვნის გასაჯაროებულ მაგალითებთან ერთად, საგულისხმოა ისიც, რომ „ქართული ოცნების“ სიით პარლამენტში შესული და ბ-ნ გ.გახარიას გადადგომის შემდგომ საპარლამენტო უმრავლესობიდან გასული პერსონების დიდი ნაწილის საჯარო სამსახურების ადგილები ემთხვევა ბ-ნ გ.გახარიას მინისტრობას ჯერ ეკონომიკის სამინისტროში, შემდგომ შსს-ში დაბოლოს მთავრობაში ბ-ნ გ.გახარიას პრემიერ-მინისტრობას. ეჭვი მეპარება რომ ისინი კონკურსების გზით იკავებდნენ თანამდებობს და თან არ დაჰყავდა ბ-ნ გ. გახარიას. იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალში, თუ ოდესმე ბ-ნ გ. გახარია თავის პარტიასთან ერთად მოვა ხელისუფლებაში, მის სანდო პირებს არ დანიშნავს რაიმე თანამდებობაზე კონკურსის გარეშე.

5. მაინტერესებს: რა გზებით და, რაც მთავარია, როდის დააღწევს თავს ბ-ნ გ. გახარია ნაცმოძრაობის განრიგით მოქმედებს? თავად თუ დავუჯერებთ, მას ცოდნია, თუ როგორ უნდა დაასრულოს „ნაციონალური მოძრაობა“. ისე, კარგი იქნებოდა ეს ამბავი ამდენი ხანი არ დაემალა. თუმცა, ჯერჯერობით, ის ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციების დასუსტების ნაცვლად, მათ განმტკიცებას. შეიძლება, ნაცმოძრაობის დასრულების მისი შორეული გეგმის ერთ-ერთი ნაწილი „ქართული ოცნების“ დასუსტება და ნაცმოძრაობის დროებით გაძლიერება იყოს. ვინ იცის. საინტერესოა ასევე, მართლაც რეალურად მიაჩნია თუ არა და როგორ წარმოუდგენია „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალურ მოძრაობის“ დაბალანსება, თანაც ისე რომ არ ითანამშრომლოს არც ერთთან?

განსაკუთრებით გული დამწყვიტა ბ-ნ გ. გახარიას მიერ ადგილობრივი არჩევნების შეფასებისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების მსგავსებამ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი მომსახურე პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ტელევიზიების განცხადებებთან და ბრალდებებთან. პოლიტიკოსების განცხადებების არსი შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს მხოლოდ მაშინ, როცა ერთი და იგივე მოვლენის ობიექტურად შეფასებას ცდილობენ ან, პირიქით, როცა რეალობის დამახინჯებულად წარმოდგენით აპირებენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ამით ემსახურებიან რომელიმე პარტიას. გამაკვირვა მისმა მონაყოლმა შემდეგმა ამბავმაც: „ჩვენ გვყავდა ძალიან კარგი, ღირსეული, ჩემზე უკეთესი კანდიდატი, რომელიც, სამწუხაროდ, ამ სახელმწიფო აპარატმა და კონკრეტულმა პარტიამ, უბრალოდ, ზეწოლის შედეგად ნუ, ასე ვთქვათ, დაგვიშინესავით...“ და ამიტომ გამხდარა ის იძულებული თავად მიეღო მონაწილეობა ქ. თბილისის მერის არჩევნებში. გარდა იმისა, რომ კითხვა გამიჩნდა იმ კანდიდატის ღირსების მართ, დაშინებასავით რაღაცის გამო რომ ამბობს უარს არჩევნებში მონაწილებაზე (თუმცა, შეიძლება, ეს კაცი მართლაც ღირსეული პიროვნებაა და ამიტომაც არ აჰყვა ავანტიურას), ასეთი გამოცდილებისა და კავშირების მქონემ, როგორ ვერ მოახერხა მის კანდიდატებზე ან ამომრჩევლებზე ზეწოლის ან მოსყიდვის ერთი ფაქტის მაინც სარწმუნოდ დოკუმენტირება, თუ ასეთს მართლაც ჰქონდა ადგილი?

„ნაცონალური მოძრაობის“ დღის წესრიგში ეწერება ასევე ბ-ნ გ. გახარიას მოსაზრება ვადამდელი არჩევნებისა და კოალიციური მთავრობის შექმნის გარდუვალობის შესახებ. ხომ ნათელია, ნაცმოძრაობისა და მისი მნიშვნელოვანი მონაწილეობის გარეშე, შეუძლებელია კოალიციური მთავრობის ახლო მომავალში წარმოდგენა(ღმერთმა დაგვიფაროს!).საინტერსეოა, რომელი სამინისტროები ემეტება ბ-ნ გ.გახარიას ნაცმოძრაობაზე ჩასაბარებლად და შედეგების პროგნოზი თუ აქვს.

დაბოლოს, ჩემი აზრით, ძალზე საყურადღებო საკითხის, 2012წ-დან, 9 წ-ს განმავლობაში ჩატარებულ არჩევნებში, ამომრჩეველთა თითქმის მესამედის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის შესახებ.

ეს ფენომენი, რომელიც, ვფიქრობ, არ არის პოლიტიკური გემოვნებით განპირობებული, მიუთითებს მასზედ თუ რა ღრმად, ფართოდ და მყარად გაუდგია ფესვები ჩვენს, 21-ე საუკუნის საზოგადოებაშიცკი იმ რეჟიმს, რომლის მთავარი მახასიათებელი იყო კანონის უგულველყოფის, მლიქვნელობის, რეკეტის, დაშინების, შურისძიების, ღირსების წართმევის, მკვლელობის, წამების, ცილისწამებისა და კიდევ სხვა სისაძაგლეების იდეოლოგიურ და ხელისუფლების მუდმივად შენარჩუნების იარაღებად გამოყენება. უმადურობაა, პატივი არ სცე და არ დააფასო ის ხალხი, ვინც საკუთარ თავზე გადაიტანა ის საშინელება და სიცოცხლის რისკის ფასად დაასრულა ის ავადმოსაგონარი დრო.

დროა, ალბათ, სოციოლოგებმა და პოლიტოლოგებმა სიღრმისეულად შეისწავლონ, თუ აქამდე არ ააქვთ შესწავლილი, და საზოგადოებას გააცნონ სურათი, თუ რასთან და ვისთან აქვს საქმე ქვეყანას, რათა მოფიქრებული იქნეს საჭირო საგანმანათლებლო და სხვა პროგრამები, ამ ჩვენი თანამოქალაქეების თვალის ასახელად და ქვეყნის დასამშვიდებლად. მართალია, ეს ძალზე რთულად მისაღწევია, მაგრამ თუ ეს პრობლემა ხანგრძლივად მოუგვარებელი დარჩა, ქვეყანაში ამომრჩევლთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ მხარდაჭერილი დესტრუქციული პარტიის მიერ შექმნილ მუდმივ პოლიტიკური ზედაძაბულობის ვითარებაში, ვშიშობ, ქვეყნის მნიშვნელოვანი წინსვლის, რაც, წესით, ნებისმიერი პარტიის ამომრჩეველს უნდა სურდეს, მოლოდინიც კი ზედმეტია...

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲭᲚᲘᲙᲐᲫᲔ

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲕᲐ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ, ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲕᲐ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ. ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ 95 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ.

არსებული ინფორმაციით, ელისაბედ მეორე ყოველდღე ვახშმის წინ ერთ ჭიქა მარტინის სვამს, ძილის წინ კი ხანდახან თავს შამპანურის დალევის უფლებას აძლევს. ამასთანავე, სამეფო ოჯახის ყოფილი შეფმზარეული დარენ მაკგრეიდი ამბობს, რომ სამეფო სასახლეში მისი მუშაობის პერიოდში (1982-1993 წლები) ელისაბედ მეორე ვახშმისას „ტკბილ გერმანულ ღვინოს“ სვამდა.

18 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ საგამოძიებო კომიტეტის განცხადებით, ეკატერენბურგში ალკოჰოლით მოწამვლის შედეგად ბოლო მონაცემებით 18 ადამიანია დაღუპული. გავრცელებული ინფორმაციით გარდაცვლილებს მეთილის სპირტი ჰქონდათ დალეული.

მათ ალკოჰოლი 7-დან 14 ოქტომბრამდე დროის მონაკვეთში ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისგან შეიძინეს. ის ადამაიანები, რომლებიც მეთილის სპირტს ჰყიდნენ, პოლიციამ დააკავა.

ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲤᲘᲝᲖᲘᲡ ᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲢᲘ?

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ამერიკელი განგსტერის, ალ კაპონეს ნივთების კოლექცია აუქციონზე 3 მილიონ დოლარად გაიყიდა. აუქციონზე 174 ნივთი იყო წარდგენილი, მათ შორის პირადი ფოტოები, ცეცხლსასროლი იარაღი, სამკაულები და ავეჯი. ყველაზე პოპულარული ლოტი კაპონეს პისტოლეტი გახდა, რომელიც 860 000 დოლარად გაიყიდა.

ალ კაპონე 1920-1930-იან წლებში ქალაქ ჩიკაგოს აკონტროლებდა. კაპონეს გავლენის სფეროები იყო ალკოჰოლის უკანონო წარმოება და გაყიდვა, სათამაშო ბიზნესი და პროსტიტუცია, ლეგალურად კი ის ავეჯით ვაჭრობდა. დროთა განმავლობაში ალ კაპონე იტალიური მაფიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი გახდა. 1931 წელს კაპონე გადასახადების დამალვის ბრალდებით დააკავეს და 11 წელი მიუსაჯეს. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ალ კაპონე ციხიდან 1939 წელს გათავისუფლდა, 1947 წელს კი გულის შეტევით გარდაიცვალა. აუქციონზე გაყიდული ნივთები მისი ოჯახის მფლობელობაში დაახლოებით 75 წლის განმავლობაში რჩებოდა.

ᲒᲛᲝᲑᲔᲜ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატები ოკუპირებულ ყირიმში რუსეთის მიერ მოსახლეობის აღწერას გმობს. ამის შესახებ Twitter-ზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ნედ პრაისი წერს.

„აშშ გმობს რუსეთის მოსახლეობის აღწერას ოკუპირებულ ყირიმში და განიხილავს ამას როგორც უკრაინის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის კიდევ ერთ მცდელობას“, — წერს ნედ პრაისი. ოკუპირებულ ყირიმში მოსახლეობის აღწერა რუსეთის ხელისუფლებამ 15 ოქტომბერს დაიწყო.

როდის მექნება ჩემს მშობლიურ სკოლაში გაკვეთილის ჩატარების უფლება?..

(მემვიდე გვერდიდან)

ბატონო მინისტრო!

ჩემს საკითხთან დაკავშირებით განცხადება შეტანილი მქონდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. აი, რას ატყობს თამარ წიკლაური საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსს ლიკა წიკლაურს: „ვაკანსიის გამოცხადების საფუძველი გახდა ის, რომ ლეილა არჩემაშვილი (9.09.2019 წ.) პედაგოგიური საბჭოს სხდომის შემდგომ აღარ გამოცხადებულა სკოლაში, იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი არ შეფერხებულიყო, გამოვაცხადეთ ვაკანსია.“ (MES 61901599625, 27.11. 2019. შემოსვლის 3 14810119).

აი, ასეთი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გყავთ განათლების სისტემაში, ბატონო მინისტრო! მთელი სკოლა, მაშინდელი მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები არიან მოწმე, რომ მე სწავლის დაწყების დღეს, 16 სექტემბერს, დილიდან 13 საათამდე სკოლაში ვიყავი და მისი მუქარის შემდეგ, რომ „სკოლის ნაკლოვანებების გარეთ გატანას არ მაპატიებდა,“ წამოვედი სკოლიდან.

სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ისტორიის მასწავლებლის ვაკანსიაზე. გადავგზავნე განაცხადი, მაგრამ პირველივე ეტაპი ვერ გადალახეო, მომწერა წიკლაურმა.

კოჭბაანის საჯარო სკოლაში 2000 წლიდან ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა არასერტიფიცირებული პენსიონერი მასწავლებელი მედეა მჭედლური (10 კვირეულ საათზე, V-VI კლ.). მჭედლურის თხოვნით, სახელმწიფო ჯილდო სოლიდური რომ ყოფილიყო დირექტორმა და ქართული ენა-ლიტერატურის მეორე მასწავლებელმა მარინე თათარაშვილმა დიდი სიყვარულითა და სიამოვნებით გადასცეს ქართულის 5 კვირეული საათი, რომ 15 კვირეულ საათზე, ბოლო სამი თვის ხელფასის დაანგარიშებით, უფრო მეტი თანხა აეღო სახელმწიფოსგან ჯილდოდ მჭედლურს. ასეც მოხდა. წავიდა სკოლიდან მედეა მჭედლური, წაიღო 15 კვირეულ საათზე გამოანგარიშებული ჯილდო და იანვარში ვაკანსია ქართულის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კვლავ 10 კვირეულ საათზე გამოცხადდა. ისევ შევიტანე განაცხადი ამჯერად ზემოხსენებულ 10 საათზე. ისევ უარი მივიღე 10-კრედიტქულიანმა მასწავლებელმა. მიიღო პატარძეულის სკოლის უფროსი მასწავლებელი. იგი პატარძეულშიც ასწავლის და 60 კმ-ზე კოჭბაანშიც დადის ყოველდღე. პროფესიული უნარების გამოცდაზე მინდოდა გავსულიყავი, მაგრამ NAEC.GE-სგან უარი მივიღე, მასწავლებელთა სქემაში არ ხარ ჩართულიო. 2017 წლიდან თუნდაც ქართული ენისა და ლიტერატურის 5 კვირეული საათი რომ მქონოდა, დღეს უფროსი კი არა, უკვე წამყვანი მასწავლებელიც ვიქნებოდი. ასე შემიშალა ხელი სტატუსის ამაღლებაში ქალბატონმა თამარ წიკლაურმა.

კოჭბაანის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა წერილობითი განაცხადი შეიტანეს დირექტორთან, რომ ჩემთვის (როგორც ადგილობრივი კადრი) გადმოეცა ის 10 კვირეული საათი, მაგრამ მშობლებს პასუხიც არ აღირსა.

მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, სპეციალისტმა ნაბიჯიც ვერ გადავდგი, სკოლაში კი ბევრია არასპეციალისტი „მასწავლებელი“. მათი მოსწავლეები თბილისში დადიან რეპეტიტორებთან მოსამზადებლად და ამ დროს მცირეკონტინგენტიანი სკოლის თითო კლასში 1-2-3-4 მოსწავლეა (ბოლო ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ხუთი მოსწავლეა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული და, სამწუხაროდ, გამოსაშვებ გამოცდებზე ჩაჭრილებიც არიან).

ბატონო მინისტრო, ახლა მოგახსენებთ ამ ყველაფრის მიზეზებს:

კოჭბაანის საჯარო სკოლის საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში 5 წევრია:

1. თამარ წიკლაური – დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. მაია დიდებაშვილი,
3. მარინე თათარაშვილი,
4. მზია ნაბიჯაშვილი,
5. მარიკა ფიცხელაური.

ხუთივე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მე პედაგოგად არ ვიმუშავო. ამათ ხელს არ აძლევს, მე შევიტყო, რომ მოსწავლეებმა კითხვა (ნორმის ფარგლებში) არ იციან; მოსწავლეებს ანგარიში არ შეუძლიათ; არ უნდათ, მე ვნახო. როგორ არღვევენ სასწავლო განაწესს ეს პედაგოგები მალავენ ერთმანეთის არაკვალიფიციურობას... მთავარია: ხელფასები ეძლევათ! ამიტომ უწოდა მოსახლეობამ ჩემს მშობლიურ სკოლას „დასაქმების ცენტრი“ და „ყავახანა“.

მზია ნაბიჯაშვილი ინჟინერია და 5 საგანს ასწავლიდა. იმისი შიშით, რომ მის საათებს საფრთხე არ შექმნოდა, კვირეული საათებიდან მე რამე არ გადმომცემოდა (თუმცა მისი არაფერი მითხოვია), ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩემსა და დირექტორს შორის ურთიერთობა გაეფუჭებინა და მიაღწია კიდეც.

მაია დიდებაშვილი მათემატიკოსია. მან თავისი სადამრიგებლო კლასის (XII) ერთადერთი მოსწავლე ბ. ო. 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ 20-ჯერ მოიყვანა სკოლაში და გაცდენების მიზეზად თქვენი აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებს მოახსენა, რომ მოსწავლე თბილისში სავარჯიშოდ დადიოდა და მხოლოდ პირველ გაკვეთილზე, მაინცდამაინც ისტორიაზე, აგვიანდებოდა.

ვეხვეწებოდი: ბავშვი სკოლაში მოიყვანე, მასალას ჩამოვრჩი-მეთქი და ამიტომ მტრად მომეკიდა. როგორც კომისიის წევრმა უარიც დაადასტურა ჩემს მიღებაზე. არადა, არაკანონიერი არაფერი მომითხოვია. „საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ“ II მუხლის I პუნქტი უფლებას მაძლევდა, მონაწილეობა მიმეღო სკოლის მართვაში და მომეთხოვა კლასის ხელმძღვანელისთვის – მოსწავლე სკოლაში მოეყვანა.

რაც შეეხება სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თამარ წიკლაურს, ჩემი სკოლაში მისვლის დღიდან გაუჩნდა ეჭვი, რომ მე დირექტორობა მინდოდა.

აი მიზეზი მისი ჩემდამი არაკეთილგანწყობისა!

ბატონო მინისტრო!

საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ რატომ ვერ იპოვა კოჭბაანის საჯარო სკოლაში თუნდაც ერთი დარღვევის ფაქტი და რატომ მომწერა, რომ „კოჭბაანის სკოლაში დარღვევების დეტალურად შესწავლის შედეგად, თქვენს მიერ განცხადებაში მითითებული დარღვევების ფაქტები არ იკვეთება.“ (!) დასაეჭვებელი არ არის? საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომპეტენტურმა უფროსმა სკოლაში არსებული დარღვევა ვერ უნდა იპოვოს?!

მაშ როგორ იპოვა განათლების სამინისტროს აუდიტმა იმავე სკოლაში 21-გვერდიანი დარღვევები და პლუს 2 საქმე, შესწავლა-გამოძიების მიზნით, ერთი – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (MES 3 20 0000555506), ხოლო მეორე – საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს ბატონ ბაკურ აბულაძეს (MES 7 20 0000555889) გადაუგზავნეთ.

ბატონო მინისტრო!

მე თქვენი სამინისტროს ელფოსტაზე გიგზავნით სკოლაში არსებული დარღვევების ფაქტების ფოტოებს.

აუდიტის დასკვნაში წერია, რომ რამდენიმე დარღვევა პედაგოგებმა არ დაადასტურეს. არც დაადასტურებენ, ბატონო მინისტრო, იმიტომ რომ, ერთმანეთის დანაშაულები იციან და ფარავენ.

ეს ხალხი არიან სკოლის კომისიაში და ესენი განაგებენ ჩემსა და სხვათა ბედს! ამათ დამტოვეს ორი წლის განმავლობაში უმუშევარი სახლში.

სკოლის დირექტორი 7 წელიწადია აბარებს სკოლის დირექტორის გამოცდებს და ვერ ჩაუბარებია. ასევე 7 წელიწადია, ყოველწლიურად აბარებს სასერტიფიკაციო გამოცდას ინფორმაციულსა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში (ამ საგანს ასწავლის), წლეულსაც ვერ ჩააბარა და ასეთ არაკვალიფიციურ კადრს აქვს უფლება, ჩემი კომპეტენცია შეამოწმოს და პლუს მასწავლებლად მიღებაზე „უარი“ გამომიცხადოს?

ბატონო მინისტრო!

სსიპ კოჭბაანის საჯარო სკოლამ 2021 წლის 17 სექტემბერს, ახლახან, კვლავ გამოაცხადა ვაკანსია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად 15 კვირეულ საათზე. კვლავ გადავგზავნე განაცხადი. ისევ უარი მივიღე! რა თქმა უნდა, წიკლაურის ჩემდამი პირადი ღვარძლის გამო!

უარი – 10 კრედიტქულიან მასწავლებელს!

უარი – ადგილობრივ კადრს!

უარი – სკოლის ყოფილ დირექტორს!

უარი – ყოფილ სასწავლო ნაწილის გამგეს სასწავლო დარგში!

უარი – 1980 წლიდან პედაგოგს, რომელსაც 5 წლის განმავლობაში (2017 წლიდან დღემდე) ერთ კლასშიც კი არ მისცა ქართულის გაკვეთილების ჩატარების საშუალება თამარ წიკლაურმა და მთლიანად გადაუკეტა გზა კარიერული წინსვლისთვის.

1997 წელს ჩემი სკოლა რეორგანიზებულ იქნა ელემენტარულ (ექვსწლიან) სკოლად. დავიხმარე ყველა მეგობარი, ჟურნალისტები და რაიონის ხელმძღვანელობას დადგენილება შევაცვლევინე კვლავ არასრულ საშუალო სკოლად დავატოვებინე. ყველას ავუხსენი, რომ ქართულ სოფელში ქართული სკოლის დახურვა იმ სოფლის სიკვდილს გამოიწვევდა და ჩვენს მხარეს ნასოფლარები მოემატებოდა.

ბატონო მინისტრო!

გთხოვთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებს კვლავ გადაამოწმებინოთ ჩემს წერილში აღნიშნული დარღვევები. მე მაქვს კიდევ უამრავი ფოტომასალა დარღვევების შესახებ. მოლაპარაკებული ვარ და მელოდება ორი ტელევიზია, მითმობენ საეთერო დროს. ამ წერილის გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთ თვეში ყველა ნახავს და გაიგებს რა ხდება სსიპ კოჭბაანის საჯარო სკოლაში.

ველოდები პირადად თქვენგან პასუხს – როდის მექნება ჩემს მშობლიურ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის თუნდაც 5 კვირეული საათის ჩატარების უფლება; როდის დაემორჩილება ჩემი მშობლიური სკოლა „საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ“ და როდის ეყოლება მას კვალიფიციური, სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამცველი ხელმძღვანელი?

პატივისცემით,
ლეილა არჩემაშვილი
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი 1999 წლიდან.

ჯაზისა და ღვინის ფესტივალი კახეთში

კახეთში, წინანდლის მამული, რიგით მეხუთე ფესტივალს – „ჯაზი და ღვინო“ მასპინძლობს. სტუმრებისთვის ქართული ღვინის მწარმოებელი მცირე კომპანიები, ტრადიციულად, აწყობენ ღვინის დეგუსტაციებს, იტალიელი მზარეულები მაურიციო სიცილიანო და კარნევალი ედოარდა კი მართავენ კულინარიულ შოუს და სტუმრებს სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნილი უნიკალური რეცეპტით დამზადებულ კერძებს სთავაზობენ.

სპეციალურად Jazz and Wine Kakheti-სთვის, ქართველმა, ამერიკელმა, პოლონელმა და იტალიელმა მუსიკოსებმა შექმნეს პროექტი სახელწოდებით „UNITED PIANIST“.

◎ გვიმრავლოს!

ფონდი „ქართუ“ ზუგდიდში სარაგბო ბაზას აშენებს

ზუგდიდში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით რაგბის კომპლექსი შენდება. სამშენებლო სამუშაოებს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლოზ ჩხეტიანი, ზუგდიდის მერობის კანდიდატი მამუკა წოწორია, პარლამენტის წევრი დავით კაჭარავა, სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია და რაგბის კავშირის პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე გაეცნენ.

ზუგდიდის მერობის კანდიდატის მამუკა წოწერიას შეფასებით, ფონდი „ქართუ“ ქალაქ ზუგდიდში უმნიშვნელოვანეს სპორტულ ინფრასტრუქტურას აშენებს — **„პროექტი მოიცავს ორ მოედანს, ბუნებრივი და ხელოვნური საფარით, ასევე გათვალისწინებულია სასტუმრო და ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძალიან მალე მივიღებთ უმნიშვნელოვანეს კომპლექსს, რომელიც ასევე იქნება წამახალისებელი ამ უბნის, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე ურბანული განვითარებისთვის“,** — განაცხადა „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მერობის კანდიდატმა. მან მადლობა გადაუხადა ფონდ „ქართუს“ ზუგდიდში განხორციელებული პროექტებისთვის — **„მადლობა იმ იმიჯის შემქმნელი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, რომელიც მიმდინარეობს ან დასრულდა ჩვენს ქალაქში. ეს გახლავთ დრამატული თეატრი, ნიკო დადიანისეული სასახლე, რომელიც დასრულებულია, ასევე, ბოტანიკური ბაღის საპროექტო სამუშაოები. ეს გახლავთ ის დახმარება, რომლის გარეშეც ამ ობიექტების რეაბილიტაცია წარმოუდგენელი იყო ადგილობრივი ბიუჯეტით“,** — აღნიშნა მამუკა წოწერიამ

ზუგდიდის სარაგბო ბაზა დააკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. მას ექნება როგორც ბუნებრივსაფარიანი, ასევე ხელოვნურსაფარიანი მოედანი. სტადიონი საერთო ჯამში გათვლილია 5000-ზე მეტი მაყურებლისთვის.

„ფონდი „ქართუ“ ახორციელებს რაგბის მხარდაჭერის პროგრამას, ჯამში ჩვენ თოთხმეტი ბაზა გვაქვს გაკეთებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. ზუგდიდში დაწყებული გვაქვს მორიგი ბაზის მშენებლობა. ეს იქნება ოთხ ჰექტარზე გაშლილი საკმაოდ მოზრდილი ბაზა, როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი საფარის მქონე მოედნით და ასევე გაკეთდება ტრიბუნები და სასტუმრო, სადაც შეძლებენ გაჩერდნენ გუნდები, ნაკრებები. ეს პროექტი ზუგდიდისთვის იქნება ერთობ სასარგებლო სპორტის განვითარების კუთხით, ასევე მთელი რეგიონისთვის, ვინაიდან აფხაზეთიდანაც შეძლებენ მსურველები მონაწილეობის მიღებას და, ვფიქრობ, ძალიან კარგი საქმე გაკეთდება ამით“, — განაცხადა ნიკოლოზ ჩხეტიანმა.

ზუგდიდის რაგბის სტადიონი იქნება მეორე სარაგბო ბაზა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ფონდმა „ქართუმ“ ზუგდიდამდე სარაგბო კომპლექსი ფოთში ააშენა.

◎ ოვალური ბურთი

ბონუს ქულით

ქართულმა ფრენჩაიზმა პირველი მატჩი გამართა და თბილისში ისრაელის „თელ ავივ ჰითის“ უმასპინძლა. „შავი ლომი“ შესანიშნავად გამოიყურებოდა და სადებიუტო მღელვარების მიუხედავად მეტოქეს 33:10 აჯობა.

ქართველმა მორაგბეებმა ოთხი ლელო მიითვალეს, საიდანაც სამი **აკაკი ტაბუცაძის** ანგარიშზეა, ხოლო ერთი — **შალვა მამუკაშვილის**. გარდა ამისა, ქულები **სოსო მათიაშვილმა** და **გიორგი ბაბუნაშვილმა** მოიპოვეს. საბოლოოდ „შავმა ლომმა“ მეტოქეს ბონუს ქულით მოუგო და ჯგუფში 5 ქულით მეორე ადგილზეა. ლევან მაისაშვილის გუნდი მომდევნო მატჩს პენზის „ლოკომოტივთან“ 23 ოქტომბერს გამართავს.

◎ ლეგიონერი

ტრავმა სერიოზულია

მოსკოვის ცსკა-სა და საქართველოს ნაკრების კალათბურთელის თორნიკე შენგელიას ტრავმა იმაზე სერიოზული გამოდგა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მოსკოველთა ვებ-გვერდის ინფორმაციით, სამედიცინო

გამოკვლევამ აჩვენა, რომ თორნიკე მოედანზე მინიმუმ ორი თვის განმავლობაში ვერ გავა.

„ამ დროისთვის კალათბურთელმა გამოკვლევა GMS კლინიკაში გაიარა, შემდგომი მკურნალობის გეგმა და გამოჯანმრთელების დრო კი განისაზღვრება კონსილიუმის დასრულების შემდეგ. ექიმების წინასწარი შეფასებით თოკო მინიმუმ ორი თვე ვერ ითამაშებს“, — ნათქვამია რუსული გუნდის განცხადებაში.

შენგელიამ მარჯვენა მხრის სახსრის დაზიანება „ზენიტთან“ მატჩის დასრულების შემდეგ იგრძნო.

ამავე შეხვედრაში თორნიკემ ბრწყინვალედ ითამაშა (33 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა) და კარიერის რეკორდი დაამყარა ევროლიგის მატჩში ჩაგდებული ქულების რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ ევროლიგის მიმდინარე სეზონში ამ დროისთვის სამი ტურია დასრულებული, მეორე და მესამე ტურების საუკეთესო მოთამაშე კი (MPV) 30 წლის ქართველი კალათბურთელი გახდა. შენგელია ამ სამ თამაშში საშუალოდ 21 ქულას და 6 მოხსნას აგროვებდა.

◎ ტატამზე

ეთერის არია...

პარიზში გამართული ძიუდოისტთა გრანდ სლემის „ბრინჯაოს“ მფლობელი 57 კგ-ში მოასპარეზე ეთერ ლიპარტელიანი გახდა.

ტოკიოს ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანმა მავრიტანიელი, მასპინძელი და სლოვენიელი (გამოუცხადებლობა) მეტოქეები დაამარცხა და ერთადერთი ბრძოლა მეორე ფრანგთან დათმო.

◎ ღირსეული

ზნეობის კანონით

ნიკოლოზ ბასილაშვილი დიდი პიროვნებაა. დიახ, დიდი პიროვნება!

მიმხვედრი კარგად მიხვდება, რასაც ვგულისხმობთ. დაგვეთანხმებით, 30 წლის ახალგაზრდა სულით ძლიერი კაცი უნდა იყოს, მისებრ ღირსეულად რომ გაუმკლავდეს გახმაურებულ ოჯახურ სკანდალს და გაჭიანურებული სასამართლო პროცესების მიუხედავად, კიდევ უფრო წარმატებით განაგრძოს სპორტული კარიერა. ასე რომ, ნიკა დიდი ჩოგბურთელიცაა!

მის მორიგ სასახელო მიღწევად ინდიან უელსის მასტერსზე (საპრიზო ფონდი — 9 მილიონი დოლარი) ესპანელ ალბერტ რამოს ვინოლასთან, რუს კარენ ხაჩანოვთან და მსოფლიოს მესამე ბერძენ ჩოგან სტეფანოს ციციპასთან მოპოვებული გამარჯვებები და, კარიერაში პირველად, ასეთი ელიტური ტურნირის ფინალში გასვლა უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებით წონადია ელადელ მეტოქესთან სამ პარტიაში მოგებული ბრძოლა — 6:4, 2:6, 6:4.

არანაკლებ აღსანიშნავია გადამწყვეტ სეტში ბასილაშვილის მიერ ერთ-ერთ საკვანძო ეპიზოდში გამოჩენილი ვაჟკაცობა, როცა მეტოქეს ფეხი დაუცდა და ჩვენმა თანამემამულემ ბურთის მოგერიება არ იკადრა! არადა, მთელი კორტი ცარიელი იყო.

ასეთი მორალური დოპინგის მიღების შემდეგ სავსებით ლოგიკური გახლდათ ნახევარფინალში მასპინძელ ტეილორ ფრიტცთან ორ პარტიაში მოპოვებული გამარჯვება — 7:6, 6:3, არადა წინა ბრძოლაში ამერიკელმა მსოფლიოს მე-4 ჩოგანი, ტოკიოს ოლიმპიადის გერმანელი ჩემპიონი საშა ზვერევი დაამარცხა — 2:1.

დავძენთ, რომ მეხუთე გრანდ სლემად წოდებული პრესტიჟული ტურნირის ფინალში გასვლით ნიკამ 550 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა და კლასიფიკაციაში უკვე 27-ეა!

◎ ყატარი — 2022

ნოემბერი გვიპასუხებს

მაშინ, როცა ლამისაა ეიფორიაში ჩავვარდეთ ცხრაწლიანი მოლოდინის შემდეგ მოპოვებული პირველი გამარჯვების გამო, გერმანიამ და დანიამ მუნდიალ — 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინიშამდე ორი ტურით ადრე უკვე დაიმსახურეს გაისად ყატარის სტადიონებზე თამაშის უფლება, ზოგადად კი საერთო სურათი მეტ-ენაკლებად ყველა შესარჩევ ჯგუფშია გამოკვეთილი და ნოემბრის დასკვნითი აკორდი მრავალ საინტერესოს გვპირდება.

ვიდრე სატურნირო ცხრილებში ჯერჯერობით შექმნილ მდგომარეობას გადავხედავთ, გაუწყებთ, რომ ბუნდესნაკრებისთვის ეს მე-20 ფორუმი იქნება, ხოლო ამ მხრივ ბრაზილია ლიდერობს (21).

დასაფასებელია აგრეთვე კრიშტიანუ რონალდუს მიერ პორტუგალიის ეროვნულ გუნდში შესრულებული მე-10 ჰეთ-თრიქი, მთლიანად კარიერაში კი ეს 58-ეა. ბუნებრივია, დროს უქმად არც მისი მთავარი მოქიშპე ლეო მესი კარგავს, ვინც არგენტინის ნაკრებში მე-80 ბურთი გაიტანა.

ევროპა

„ა“ ჯგუფი. სერბეთი — 17, პორტუგალია — 16, ლუქსემბურგი — 6, ირლანდია — 5, აზერბაიჯანი — 1 ქულა. **„ბ“ ჯგუფი.** შვედეთი — 15, ესპანეთი — 13, საბერძნეთი — 9, საქართველო, კოსოვო — 4-4 ქულა. **„გ“ ჯგუფი.** იტალია, შვეიცარია — 14-14, ბულგარეთი — 8, ჩრდილოეთ ირლანდია — 5, ლიეტუვა — 3 ქულა. **„დ“ ჯგუფი.** საფრანგეთი — 12, უკრაინა — 9, ფინეთი — 8, ბოსნია — 7, ყაზახეთი — 3 ქულა. **„ე“ ჯგუფი.** ბელგია — 16, ჩეხეთი, უელსი — 11-11, ესტონეთი — 4, ბელარუსი — 3 ქულა. **„ვ“ ჯგუფი.** დანია — 24, შოტლანდია — 17, ისრაელი — 13, ავსტრია — 10, ფარერები — 4, მოლდოვა — 1 ქულა. **„ზ“ ჯგუფი.** ნიდერლანდები — 19, ნორვეგია — 17, თურქეთი — 15, მონტენეგრო — 11, ლატვია — 5, გიბრალტარი — 0 ქულა. **„თ“ ჯგუფი.** რუსეთი — 19, ხორვატეთი — 17, სლოვაკეთი, სლოვენია — 10-10, მალტა, კვიპროსი — 5-5 ქულა. **„ი“ ჯგუფი.** ინგლისი — 20, პოლონეთი — 17, ალბანეთი — 15, უნგრეთი — 11, ანდორა — 6, სან მარინო — 0 ქულა. **„კ“ ჯგუფი.** გერმანია — 21, რუმინეთი — 13, სომხეთი — 12, ჩრდილოეთ მაკედონია — 11, ისლანდია — 8, ლიხტენშტაინი — 1 ქულა.

სამხრეთ ამერიკა

ბრაზილია — 31, არგენტინა — 25, ეკვადორი — 17, კოლუმბია, ურუგვაი — 16-16, ჩილე — 13, ბოლივია, პარაგვაი — 12-12, პერუ — 11, ვენესუელა — 7 ქულა.



ბოტანიკურის ლამაზი შემოდგომა

იმედებით აღსავსე 60 წელი

ამ ორ ფოტოს შორის სხვაობა ნახევარ საუკუნეზე მეტია. შრომით, შემოქმედებით, იმედებით აღსავსე სამოცი წელი... დრო, რომელიც სავსეა საყვარელ საქმესთან შეხების პირველი სიხარულით, შრომით მიღებული ნაყოფის პირველი სიამაყით, მომავლის რწმენით, ახალი მიღწევებითა და წარმატებებით.

ფოტოზე თქვენ ხედავთ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებს: როზა ბიძინაშვილი, რომელიც გახლავთ ეთნობოტანიკის განყოფილების, სამკურნალო მცენარეთა სექტორის მკვლევარი, სექტორის კურატორი; ეთერ გოგიტაშვილი — მებაღეობისა და ლანდშაფტის დიზაინის განყოფილების მკვლევარი, ქრიზანთემების კოლექციის კურატორი. ლამარა ასიეშვილი — მცენარეთა კონსერვაციის განყოფილების, კავკასიის იშვიათ და გადაშენებად მცენარეთა სექტორის მკვლევარი, სექტორის კურატორი.

ფოტოს გადაღებისას, თითოეულმა მათგანმა მოგვითხრო ამ წლების მოკლე ისტორია.

მოდით, ამასაც გავეცნოთ.

„ბოტანიკურ ბაღში მუშაობა 1956 წლის 19 აგვისტოს, მეყვავილეობის განყოფილების პრეპარატორად დავიწყე“, — გვიყვება ქალბატონი ლამარა ასიეშვილი — **„შემდეგ იყო უფროსი ლაბორანტის თანამდებობა, შემდეგ უმცროსი მეცნიერ-მუშაკი და სადისერტაციო თემა „ვერტიკალური ზონალობა“,** რომლის წარმატებით დაცვის გამო ამ ნაშრომის მონოგრაფიად გამოცემის აუცილებლობა დადგა.

საკმაოდ შრომატევადი და საინტერესო სამუშაო ჩავატარე. შევისწავლე საქართველოს ყველა სარტყელი. შემდეგ იყო ახალგაზრდებთან მუშაობა, ახალი გამოწვევები, თემები. ურთიერთობა სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღებთან. იყო მძიმე წლები, მაგრამ ესეც გადავლახეთ. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ განვლილი გზით ნამდვილად ვამაყობ“.

„90-იანებში ბაღი ძალიან დაზარალდა და განსაკუთრებით ქრიზანთემების კოლექცია“, — ამის შესახებ ქალბატონი ეთერ გოგიტაშვილი გვიყვება — **„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სარწყავი წყალიც არ გვქონდა. დაბახანაც კი დამშრალი იყო. 2000 წლიდან ნელ-ნელა აღდგენა დავიწყეთ. 60-იან წლებში ძალიან განვითარებული იყო მეყვავილეობა. სელექციონერების ჯგუფები მუშაობდნენ. არსებობდა ბევრი ქართული ჯიში, „აკაკი წერეთელი“, „ვასილ გულისაშვილი“ რომლებიც იმ ავადსახსენებელ წლებში დაიკარგა, მაგრამ საბედნიეროდ წავკისში ერთ-ერთ მეყვავილესთან ერთადერთი ჯიში მოვიძიეთ. მე ქალაქის გაფორმებაზე ვმუშაობდი და ფაქტობრივად ყველა მცენარე მახსოვს. საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა და ამიტომაც ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაკვეთი გვქონდა. მოსკოვში გამოფენებზე წარმატებების შემდეგ უკვე ჩვენც ვაწყობდით სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებშიც მონაწილეობას მაღალი რანგის მეცნიერები იღებდნენ.**

დღეს ერთადერთი ქართული ჯიში „საქართველოს მზე“ გვაქვს დარჩენილი, მაგრამ სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ამჟამად კოლექცია მოიცავს 170-მდე ჯიშს. რა თქმა უნდა, მათ ბოლომდე გამოკვლევას და ჩამოყალიბებას დრო და დაუღალავი შრომა, რუდუნება და სიყვარული სჭირდება, რაც ბაღის თანამშრომლებს ნამდვილად არ გვაკლია“.

„მიმდინარე წელს საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ჩემი მუშაობის 60 წლის იუბილე აღინიშნა“ — სიამაყით, მაგრამ ოდნავ ცრემლიანი თვალებით გვიყვება ქალბატონი როზა ბიძინაშვილი — **„აქ საქმიანობა მუშად დავიწყე. მას შემდეგ ყველა პოზიცია გავიარე — ლაბორანტობიდან განყოფილების ხელმძღვანელობამდე.**

„ბოტანიკურ ბაღში ჩემი მუშაობის 60 წლის იუბილე აღინიშნა“ — სიამაყით, მაგრამ ოდნავ ცრემლიანი თვალებით გვიყვება ქალბატონი როზა ბიძინაშვილი — **„აქ საქმიანობა მუშად დავიწყე. მას შემდეგ ყველა პოზიცია გავიარე — ლაბორანტობიდან განყოფილების ხელმძღვანელობამდე.**

„ბოტანიკურ ბაღში მუშაობა 1956 წლის 19 აგვისტოს, მეყვავილეობის განყოფილების პრეპარატორად დავიწყე“, — გვიყვება ქალბატონი ლამარა ასიეშვილი — **„შემდეგ იყო უფროსი ლაბორანტის თანამდებობა, შემდეგ უმცროსი მეცნიერ-მუშაკი და სადისერტაციო თემა „ვერტიკალური ზონალობა“,** რომლის წარმატებით დაცვის გამო ამ ნაშრომის მონოგრაფიად გამოცემის აუცილებლობა დადგა.

საკმაოდ შრომატევადი და საინტერესო სამუშაო ჩავატარე. შევისწავლე საქართველოს ყველა სარტყელი. შემდეგ იყო ახალგაზრდებთან მუშაობა, ახალი გამოწვევები, თემები. ურთიერთობა სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღებთან. იყო მძიმე წლები, მაგრამ ესეც გადავლახეთ. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ განვლილი გზით ნამდვილად ვამაყობ“.

„90-იანებში ბაღი ძალიან დაზარალდა და განსაკუთრებით ქრიზანთემების კოლექცია“, — ამის შესახებ ქალბატონი ეთერ გოგიტაშვილი გვიყვება — **„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სარწყავი წყალიც არ გვქონდა. დაბახანაც კი დამშრალი იყო. 2000 წლიდან ნელ-ნელა აღდგენა დავიწყეთ. 60-იან წლებში ძალიან განვითარებული იყო მეყვავილეობა. სელექციონერების ჯგუფები მუშაობდნენ. არსებობდა ბევრი ქართული ჯიში, „აკაკი წერეთელი“, „ვასილ გულისაშვილი“ რომლებიც იმ ავადსახსენებელ წლებში დაიკარგა, მაგრამ საბედნიეროდ წავკისში ერთ-ერთ მეყვავილესთან ერთადერთი ჯიში მოვიძიეთ. მე ქალაქის გაფორმებაზე ვმუშაობდი და ფაქტობრივად ყველა მცენარე მახსოვს. საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა და ამიტომაც ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაკვეთი გვქონდა. მოსკოვში გამოფენებზე წარმატებების შემდეგ უკვე ჩვენც ვაწყობდით სპეციალურ ღონისძიებებს, ვიყავი მრჩეველ-კონსულტანტიც. სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთის შექმნა ქალბატონ ნინო კახელაძესთან ერთად დავიწყე და დღეს 600-ზე მეტი სამკურნალო მცენარე გვაქვს. მათ შორის ბევრია იშვიათი, გადაშენებადი და, რაც მთავარია, ქართული ენდემური სახეობები, რომლებიც საქართველოს წითელ ნუსხაშია. ამ წლებში 150-მდე სამეცნიერო შრომა და პუბლიკაცია დამიგროვდა. 25-მდე წიგნი, მონოგრაფიები, როგორც პოპულარული, ასევე შემეცნებითი მიმართულებით. ბევრს არ ვილაპარაკებ და უბრალოდ გეტყვით, რომ დღეს უფრო მეტი შემოქმედებითი სტიმულით ვაგრძელებთ მუშაობას“...**

საკმაოდ საინტერესო ცხოვრება განვლეს ჩვენმა ქალბატონებმა. ცხოვრება, რომელშიც მოღვაწეობდნენ ჭეშმარიტი კორიფეები — ნიკო კეცხოველი, გიორგი მანაგაძე, მამია გოგოლიშვილი, ბორის სერდიუკოვი და მრავალი სხვ.

სასიხარულო და საამაყოა, რომ ისინი კვლავაც მუხლჩაუხრელად შრომობენ და თავიანთ ცოდნას უკვე ახალგაზრდა თაობას დიდი სიყვარულით გადასცემენ.

სოფო მეტრეველი

◎ ოკეანის გაღმა

ირვინგიც, ტაურაზიც...

მაშინ, როცა ნბა-ს მოთამაშეთა 95 პროცენტი ვაქცინირებულია, „ბრუკლინის“ გამთამაშებელი კაირი ირვინგი უარს აცხადებს მათ მიბაძვაზე, რის გამოც ხვალ დასაწყები რეგულარული ჩემპიონატის როგორც საშინაო, ისე ტორონტოში, სან ფრანცისკოსა და ნიუ იორკში გასამართავ შეხვედრებს გამოტოვებს, რადგან ამ ქალაქების მთავრობებმა მკაცრი რეგულაციები დააწესეს.

აღსანიშნავია, რომ თანაგუნდელთაგან მეამბოხე პარტნიორის ყოფილმა მთავარმა მხარდამჭერმა კევინ დურანტმა უკანასკნელ პერიოდში საკუთარი პოზიცია შეარბილა, ხოლო კლუბის მესვეურები ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად სეზონის განმავლობაში ირვინგის გაცვლას განიხილავენ.

* * *

ამასობაში ლიგის 25-ე სეზონის სტარტის აღსანიშნავად გამართული გამოკითხვით **გულშემატკივრებმა გამოავლინეს ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში უდიადესი მოთამაშე.**

ესაა აშშ-ის ნაკრებში ოლიმპიადების 5-გზის, მსოფლიოს ჩემპიონატების 4-გზისა და ვნბა-ს 3-გზის ჩემპიონი **დიანა ტაურაზი,** რომელიც უკვე 39 წლისაა.

„ფინიქსის“ მიერ დრაფტზე 2004 წელს პირველ ნომრად არჩეული ლიდერი საუკეთესოა ტურნირში როგორც რეგულარულ გათამაშებებში, ისე პლეი-ოფში ქულების, თამაშიდან ზუსტი ტყორცნებისა და ზუსტი სამქულიანების რაოდენობით. იგი ყველაზე მეტჯერ (14) მოხვდა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში, ორჯერ იყო ვნბა-ს ფინალური სერიის MVP და ერთხელ რეგულარული ჩემპიონატის MVP.

შალვა მგალობლიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ გურამ მახოშვილს ძმის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, რამაზ ხეცურიანი, თემურ კუჭუხიძე, როლანდ გაბრიჩიძე, ამირან ნიკოლეიშვილი, ნოდარ ბოლოთაშვილი სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ნუნუ გრიგალაშვილს ძმის

ავთანდილ გერონტის ძე კურტანიძის

გარდაცვალების გამო.

კორონავირუსის მეხუთე ტალღა საკმაოდ მაღალი ნიშნულიდან იწყება!

შემთხვევების **რაოდენობა სერიოზულად მომატებულია და ეს დასაწყისია ე.წ. მეხუთე ტალღის. სამწუხაროდ, ეს ტალღა საკმაოდ მაღალი ნიშნულიდან იწყება და ამიტომ აუცილებელია, რომ ყველამ გავითვალისწინოთ რეკომენდაციები, ვატაროთ პირბადე, დავიცვათ დისტანცია, თავი ავარიდოთ თავშეყრის ადგილებს და ავიცრათ,** — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ საქართველოს პირველ არხთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, მხოლოდ აცრას შეუძლია ეპიდემიის შეჩერება.

„ბოლო კვირის განმავლობაში განსაკუთრებით გაუარესებულია სიტუაცია სამ რეგიონში — კახეთში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, სადაც შედარებით დაბალია აცრით მოცვის მაჩვენებელი. შედარებით უკეთესია სიტუაცია აჭარასა და თბილისში, რადგან ორივე რეგიონში აცრით მოცვის მაჩვენებელი გვაქვს, სხვა რეგიონებთან შედარებით, მაღალი. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვთხოვ მოსახლეობას, რომ აიცრას. მილიონი ადამიანია აცრილი, სულ მცირე კიდევ ერთი მილიონი უნდა აიცრას, რომ მშვიდად შეხვდეს ქვეყანა ახალ წელს. რაც შეეხება სხვადასხვა შემზღუდველ ღონისძიებებს, ამას განიხილავს საკოორდინაციო საბჭო“, — განაცხადა გამყრელიძემ. ამირან გამყრელიძის განცხადებით, მეხუთე ტალღა საკმაოდ მძიმე იქნება, ამიტომ ვაქცინაცია აუცილებელია.

პირველი პორტატული მოტივტივე სადგური



გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, ევროკავშირის მხარდაჭერით, წყლის პორტატული CTD მოტივტივე სადგური შეიძინა.**

სადგური დამოუკიდებელი სისტემაა, რომელიც პირველად განთავსდა საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში და განკუთვნილია წყლის ხარისხის მონიტორინგისთვის. მოწყობილობა, GPRS კომუნიკაციის მეშვეობით, ზღვის პარამეტრებს ონლაინ რეჟიმში გაზომავს, ხოლო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მეთევზეობის, აკვაკულტურის, წყლის ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტებისთვის. პირველ ეტაპზე, სადგურის საშუალებით განისაზღვრება სამი ძირითადი კომპონენტი: წყლის ელ. გამტარობა, ტემპერატურა და სიღრმე, რაც შესაძლებლობას იძლევა, პირველად საქართველოში, შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელდეს წყლის უწყვეტი მონიტორინგი. ეს კვლევები, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თევზის მარაგების შეფასებას და მოდელირებას.

აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხიდი აშენდა

აჭარაში **ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა. ქედაში, სოფელ წონიარისში, 72-მეტრიანი ახალი საავტომობილო ხიდი აშენდა. საავტომობილო ხიდი ბათუმი — ახალციხის გზას ხეობასთან აკავშირებს.**

ახალი ხიდი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსთან ზაზა შავაძესთან ერთად დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ასფალტობეტონის საფარი და ქვეითთა სავალი. ხიდის სიგრძე 72, სიგანე კი 8 მეტრია. ქედის მუნიციპალიტეტში, მიმდინარე წელს, საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, დაახლოებით 11 მლნ ლარია გათვალისწინებული.

ᲔᲚᲘᲡᲝ ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ – ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

17-22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲔᲚᲘᲡᲝ ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ „ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ – ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ“ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲜᲐ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ.

მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტის, ელისო ვირსალაძის მიერ ქალაქ თელავში დაარსებული მუსიკალური ფესტივალი და მასტერკლასები 35 წელს ითვლის. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პრიორიტეტებზე დაყრდნობით, ფესტივალი წელს ფორმატს იცვლის და, დროებით, თბილისში გადმოინაცვლებს, სადაც 22 ოქტომბერამდე 3 კონცერტი და 12 მასტერკლასი ჩატარდება მოსწავლეების, სტუდენტებისა და პროფესიონალი მუსიკოსებისთვის. აღსანიშნავია, რომ მასტერკლასებს და შეხვედრებს მოწვეული პროფესორები, პროფესიონალ მუსიკოსებთანაც ჩაატარებენ.

თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტებს გამართავენ ელისო ვირსალაძე, ლუკაშ ვონდრაჩეკი, ანდრეი ბარანოვი, ალექსანდრ რუდინი და საფესტივალო სიმფონიური ორკესტრი კახი სოლომნიშვილის დირიჟორობით. მცირე დარბაზში შედგება ახალგაზრდა წარმატებული ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების – სანდრო გეგეჭკორისა და მარიკა კუხიანიძის კონცერტი.

საფესტივალო ორკესტრი შედგენილია ქართველი მუსიკოსებისა და უცხოეთიდან მოწვეული ორი კონცერტმაისტერისაგან.

მასტერკლასებს ფორტეპიანოს სპეციალობით გაუძღვებიან ელისო ვირსალაძე და ხათუნა კოკოჩაშვილი – ბრიუსელის მუსიკალური აკადემიის პროფესორი; ვიოლინოს სპეციალობით – ბრიუსელის დედოფლის ელისაბედის სახელობის საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი, ჟენევის მუსიკალური აკადემიის პროფესორი ანდრეი ბარანოვი; ჩელოს და კამერული ანსამბლის სპეციალობით - საერთაშორისო კონკურსების ლაურეტი, ჩელისტი და

დირიჟორი ალექსანდრ რუდინი. პირველად ფესტივალზე ალექსანდრ რუდინი ჩაატარებს მასტერკლასს პროფესიონალი მუსიკოსებისთვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სიმებიანი კვარტეტი „იბერი“ და პიანისტი ხათუნა კოკოჩაშვილი.

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით და დაფინანსებით.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲓᲦᲔᲡ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, „ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ №12“ ᲞᲔᲠᲤᲝᲠᲛᲐᲜᲡᲨᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲚᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ, თეა ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ.

კულტურის სამინისტროს მიერ 2021 წელს დაარსებული პრემია გადაეცა მხატვარ მამუკა ცეცხლაძეს – პირველ ქართველ ხელოვანს, რომელმაც საქართველოში 1988 წელს შეასრულა მხატვრული პერფორმანსი. მხატვარს პრემია ზურაბ რთველიაშვილის მეუღლემ, ნინო ამირეჯიბმა გადასცა.

ღონისძიების ფარგლებში, ყოფილი მე-12 პენიტენციური დაწესებულების კედლებზე, „ალტერნატიულ კულტურულ სივრცეში №12“ ზურაბ რთველიაშვილის საუკეთესო პერფორმანსების ინსტალაცია იყო ნაჩვენები, ასევე დაიდგა სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი „მარგო კორაბლიოვას თეატრის“ პერფორმანსი, ხოლო ღონისძიების დასასრულს, „ახმეტელის თეატრის“ მსახიობებმა ზურაბ რთველიაშვილის პიესა „ქვემოდან ზემოთ“ წაიკითხეს.

ღონისძიების მსვლელობისას დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, მან ხაზი გაუსვა სახელოვნებო სფეროსთვის მსგავსი ღონისძიებებისა და ქართული პერფორმანსის პოპულარიზაციის მნიშვნელობას. მინისტრის თქმით, მსგავსი პროექტები იქნება წამახალისებელი დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის და წინა თაობის ხელოვანებისთვის, რათა ქართული მხატვრული პერფორმანსის მიმართულებით ახალი პროექტები შეიქმნას.

ზურაბ რთველიაშვილის შესახებ ასევე ისაუბრეს მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა – ირაკლი კაკაბაძემ, დავით ანდრიაძემ და უშანგი ხუმარაშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს პოეტისა და ხელოვნის ღვაწლი და მისი შემოქმედების მნიშვნელობა ქართული კულტურისთვის. ირაკლი კაკაბაძისა და დავით ჩიხლაძის იდეის საფუძველზე, მინისტრის გადაწყვეტილებით, იგეგმება საქართველოში ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პერფორმანსის საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნება. მსოფლიოში და საქართველოში არსებული ეპიდსიტუაციის გამო, სამწუხაროდ, წელს გადაიდო 5-დღიანი ფესტივალის გამართვა.

ᲮᲝᲠᲣᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ“ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲔᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲐᲜᲨᲚᲐᲒᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ“ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲔᲑᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲕᲘᲠᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲐᲠᲓᲒᲜᲔᲜ.

მაყურებლის აპლოდისმენტები „ხორუმის“ შესრულების დროს საქართველოსა და უკრაინის დროშების აფრიალებამ, ასევე ქართველი მოცეკვავეების მიერ უკრაინული ცეკვის, ხოლო უკრაინელების მიერ ქართული ცეკვის შესრულებამ დაიმსახურა. კულმინაცია კი, ცეკვა „მთიულური“ გამოდგა, რომლის დროსაც ქართველებს ცეკვაში უკრაინელი მოცეკვავეები შეეჯიბრნენ.

ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲜᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ

ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ **განმავლობაში მყინვარების დნობის შესახებ ორი ახალი კვლევა გამოქვეყნდა. კავკასიონის მყინვარების ახალი ინვენტარიზაცია და მეორე, რომელმაც მსოფლიოში არსებული ყველა მყინვარი მოიცვა. ბოლო კვლევაში ასამდე მყინვარი შევიდა და დასკვნა საგანგაშო აღმოჩნდა.** კვლევის თანახმად, ბოლო წლებში მყინვარების დნობის ტემპმა კატასტროფულად იმატა. მხოლოდ კავკასიონის მაგალითზე, ბოლო 20 წელიწადში 320 კვადრატული კილომეტრი ყინული დადნა და მკვლევრების აზრით, აღმოსავლეთ კავკასიონზე უახლოეს ათწლეულებში მყინვარების უმეტესობა შესაძლოა გაქრეს.

ამ თემაზე „იმედის დილაში“ კვლევის ერთ-ერთმა თანაავტორმა, ქართველმა გლაციოლოგმა ლევან ტიელიძემ ისაუბრა, რომელიც ახალ ზელანდიაში ანტარქტიდის კვლევით ცენტრში მუშაობს. მისი თქმით, მყინვარების დნობა მყინვარული დნობის მდინარეებში წყლის დონის შემცირებასა და ფერდობების სტაბილურობის დარღვევას და ზვავებს გამოიწვევს.



ᲔᲚᲩᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ისრაელის ელჩის, რან გიდორის ქალიშვილი ემილი საქართველოს მოქალაქე გახდა. ამის შესახებ დიპლომატი Facebook-ზე წერს.

„ჩემი პატარა ქალიშვილი უკვე საქართველოს მოქალაქეა!

დიდი მადლობა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ჩემი შვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის. მე წარმოუდგენლად ვამაყობ იმით, რომ ემილი, რომელიც შარშან თბილისში დაიბადა, ახლა როგორც ისრაელის, ისე საქართველოს მოქალაქეა, რაც ჩვენს ერებს შორის არსებულ ურყევ მეგობრობას და სიყვარულს გამოხატავს“, – წერს რან გიდორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲫᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ – ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔ᭢ᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ
uac(უაკ)070.4(479.22)
Ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔ᭢ᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1383; ᲔᲕᲠᲝ - 3.6439;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.3123;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4075; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3398;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8481;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.5441.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+21
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+6,	ᲓᲦᲔ	+18

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+16
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+13,	ᲓᲦᲔ	+20

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge